ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ორშაბათი, 22 მარტი, 2021 №46 (8575) ფასი: 60 თეთრი

## „ბედოვლათი ჯანდაცვის მინისტრი სამმუშკეტერიანად უნდა წავიდეს!“


გვ.2

ვატო სურგულაძე: „ფარმაცევტულმა კომპანიებმა ასტრაზენეკას ჩაძირვა ცადეს. პირადად მე ავიცერი ასტრაზენეკათი და ყველას ვურჩევ!“

# „მიშას მოგხრე 1 მილიონია, ბურჯანაძისა და ბოკერიასი – ნული. მიშა უნდა გაიწიოს და ესენი დარჩნენ?!“


გვ.3



თაკო ჩარკვიანი: „ბურჯანაძესთან რადგან ნათელმირონობა მაკავშირებს, რუსული ჯარი შემოვაყვანინო?!“



## „ევროკავშირი საქართველოში 75-მილიონიან პროგრამას აჩერებს“


გვ.4

ვახტანგ მაისაია: „საქართველო ამერიკა-რუსეთის პირდაპირი დაპირისპირების არეალია“

## „კალაძე, გახარია და კვირიკაშვილი მესამე ძალის შექმნას ერთად შეძლებენ“


გვ.2

ვახტანგ ძაბირაძე: „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ევროპული საქართველო“ ნაციონალებისგან თავის დაღწევას ვერ შეძლებენ“




გვ.5

## პოლიციის ავტოპარკს 225 ახალი ავტომანქანა შეემატა


გვ.4

## „ოცნების“ კრიზისი სხვა რამეშია – ხალხს სათოფეზე არ ეკარება“




ISSN 1987-9385
9 771987 938006

3 ბრიუსელში საქართველოს ელჩმა, ნატა საბანაძემ, თანამდებობა დატოვა

5 ვენერა კურტანიძეს 4.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

6 ისრაელში ნეთანიაჰუს საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

# „ბედოვლათი ჯანდაცვის მინისტრი სამმუშკეტერიანად უნდა წავიდეს!“

ნონა ცაბაძე

## ვატო სურგულაძე: „ფარმაცევტულმა კომპანიებმა ასტრაზენეკას ჩაძირვა ცადეს. პირადად მე ავიცერი ასტრაზენეკათი და ყველას ვურჩევ!“

**„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.**

***– ბატონო ვატო, 20 მარტს თქვენც ჩაიტარეთ ვაქცინაცია ასტრაზენეკას ვაქცინით და სწორედ ამით დავიწყოთ. როგორ გრძნობთ თავს?***

– ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და, იმედი მაქვს, რომ ეს სტიმული იქნება ჩვენი მკითხველისთვის, თორემ ძალიან ცუდ დღეში ვართ.

***– ახალციხეში მომხდარმა ამ მძიმე შემთხვევამ ძალიან გაართულა სიტუაცია. თქვენ რის თქმა შეგიძლიათ, შეფერხდება ვაქცინაციის პროცესი?***

– ჯერ ვაქცინა, ვაქცინაო, შემოიტანეს ვაქცინა და პრაქტიკულად ტემპი გვაქვს იმდენად დაბალი, ასე რომ გავაგრძელოთ, ე.წ. პოპულაციურ იმუნიტეტს მივაღწევთ 2032 წელს. ამიტომაც ყველას, ვისაც შეუძლია, უნდა დაიწყოს ძალიან სერიოზული კამპანია ყველა დონეზე. რა თქმა უნდა, ამ კამპანიას, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა უძღვებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურები: ჯანდაცვის სამინისტრო, ეს ჩვენი მუშკეტერები არიან თუ გრაფინია დე მონსოროები. ასეა ყველა ქვეყანაში, ჩვენ კი, დანარჩენები, რითაც შეგვიძლია, უნდა დავეხმაროთ. ჩემი გუშინდელი აცრა ამასაც ემსახურებოდა, რომ ვაჩვენო, აცრა რამდენად მნიშვნელოვანია.

ასტრაზენეკათი ავიცერი. ყველაფერი ძალიან კარგადაა. მივედი საკმაოდ ორგანიზებული. ეს პროცესი თუ არ გააქტიურდა, ისედაც დავაგვიანეთ ვაქცინაციის პროცესის დაწყება და ძალიან ბევრი პრობლემა გვექნება. ქვეყანას ექნება პრობლემა. ვაქცინაცია – ეს არის ე.წ. საზოგადოებრივი სიკეთე. რაც სუფთა ჰაერია, სუფთა წყალი, ზუსტად იგივეა ამ შემთხვევაში ვაქცინაცია. მარტო ჩემი გაკეთება არ შველის. მესმის, რომ ძალით ვერავის გააკეთებინებ, ვერ დააძალებ, მაგრამ, თუ არ აიცრებით, ეს დიდი პრობლემა იქნება. ასე ვერ გავწყვეტთ ეპიდემიის ჯაჭვს.

***– ახალციხეში 27 წლის მედდა გარდაიცვალა. დააგვიანეს რეაგირება თუ რა მოხდა?***

– რთულია ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი. მე იქ არ ვყოფილვარ, მე არ მინახავს ისტორიაში ჩანაწერები. აქედან გამომდინარე, ჩემი მოსაზრებები არ იქნება სწორი. შეიძლება, ან ხელი შევუშალო, ან ვიღაცამ გამოიყენოს მომავალში, ამიტომ კომენტარს ვერ გავაკეთებ, თუმცა ის, რომ მედიკამენტი არ ჰქონდათ და ასე შემდეგ, სრული სისულელეა. საქართველოს ნებისმიერ საავადმყოფოში ის მედიკამენტები, რომლებიც სჭირდებოდა ამ პაციენტს, აუცილებლად იქნებოდა. ამიტომაც სახელმწიფომ ძალიან სწრაფად უნდა გამოიძიოს ეს შემთხვევა და აქციოს ის ე.წ. ქეისად. ყველა კლინიკაში უნდა იყოს გავლილი ეს ქეისი და ანალიზი უნდა გაკეთდეს, სად იყო დაშვებული შეცდომა.



**„ირაკლი კობახიძის ჩვენებას ტელევიზიით აჯობებს, ვაქცინაციის სიკეთეებზე ისაუბრონ“**

***– პასუხისმგებელი პირი ხომ უნდა გამოიკვეთოს?***

– დიახ, ეს უნდა ვნახოთ, იმისთვის კი არა, რომ ვიღაცა დავსაჯოთ და დავხვრიტოთ, არამედ იმისათვის, რომ შემდეგში ასეთი შეცდომა არ დავუშვათ. შემოდგომაზე 19 წლის გოგო რომ გარდაიცვალა, დიაბეტით დაავადებული, კოვიდსასტუმროში. სად არის ეს საქმე, გამოიძიეს? ჯანდაცვის მინისტრმა ხომ თქვა, პირად კონტროლზე ამყავსო. ჩვენმა გაუგებრობა მინისტრმა, მე მას სხვას ვერაფერს ვუწოდებ, რატომ არ დადო გამოძიების შედეგი? სად იყო დაშვებული შეცდომა 19 წლის გოგონასთან?! არც ამ ფაქტს სჭირდება დიდი დრო, უნდა დასხდნენ შესაბამისი ორგანო, კომპეტენტური პირები და ამას სულ რამდენიმე დღე ეყოფა.

***– ჯანდაცვის მინისტრი თავად არ უნდა გამხდარიყო მაგალითი, არ უნდა აცრილიყო? მე სხვას ვუთმობ ვაქცინასო, ეს ცოტა არასერიოზული მიდგომა ხომ არ არის?***

– ეს არის ძალიან არასერიოზული. მე ჩინურით ვაპირებდი აცრას, რადგან ნაკლები ნდობა აქვსო. რა ჩინური, შემოვა საერთოდ ჩინური ვაქცინა?! პირველივე უნდა აცრილიყვნენ ეგეც და პრემიერ-მინისტრიც. გუშინ აიცრა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ზუსტად ასტრაზენეკათი, რათა ამ ვაქცინის წინააღმდეგ ბინძური სკანდალი გაექარწყლებინა. პრემიერ-მინისტრი რომ ჰგონია თავისი თავი, სწორედ ის უნდა ყოფილიყო პირველი. ინდოეთის კვლევამ ჯერ კიდევ სამი თვის წინ აჩვენა, რომ 41% ნეგატიურად იყო განწყობილი და ანტივაქსერული განწყობები ძალიან მაღალი იყო. იმუშავეს ამაზე?!

***– როგორ უნდა შემოვაბრუნოთ ეს განწყობები?***

– ძალიან რთულია, ძალიან. ეს ყველაფერი უნდა დაგვეწყო იანვარში, სერიოზული კამპანია უნდა ჩაგვეტარებინა.

***– თავად ექიმები ამბობენ აცრაზე უარს და მოსახლეობას რა უნდა ვუსაყვედუროთ?***

– დიახ, სამწუხაროდ, ასეა. სწორედ ესაა საქმე. პირველ რიგში ეს კამპანია ექიმებში უნდა ჩაგვეტარებინა, ექიმები უნდა მოგვემზადებინა. ჩვენი მინისტრი საერთოდ არაფერს აკეთებს. ჟურნალისტი ეკითხება, როგორ აფასებთ საკუთარ საქმიანობას ათი ქულიდანო და 8-9 ქულითო. არ რცხვენია ნეტა?! უნამუსობის აპოთეოზია ეს ყველაფერი! 8-9 ქულით როგორ აფასებს ეს ქალბატონი, როცა წესიერად ვაქცინაციაც კი არ დაგვიწყია?! ამდენი გარდაცვლილი გვყავს, ერთ სულ მოსახლეზე მეცხრე ადგილზე ვართ მსოფლიოში გარდაცვლილთა რაოდენობით და 8-9 ქულით ვაფასებ ჩემს საქმიანობასო. სამარცხვინოა ეს ყველაფერი.

***– ჯერ კიდევ ექიმებშია ჩასატარებელი სერიოზული საინფორმაციო კამპანია.***

– ძალიან სერიოზული. ასევე ოჯახის ექიმებმა უნდა იმუშაონ აქტიურად, უნდა დაარწმუნონ მოსახლეობა. ამ კუთხით არაფერი გაგვიკეთებია.

***– ბევრი შეაშინა ასტრაზენეკას ვაქცინამ?***

– ასტრაზენეკას ვაქცინა ერთ-ერთი საუკეთესოა! ეს არის ფარმაცევტული კომპანიების ე.წ. ბინძური ომები, კვანტებს უდებენ ერთმანეთს. დიდი გლობალური ბრძოლები მიმდინარეობს. ძალიან დიდი ფული დახარჯეს იმავე ამერიკის კომპანიებმა და ახლა ებრძვიან დანარჩენებს. ძალიან მალე ვაქცინა ბევრი იქნება. 80 კომპანია მუშაობს მსოფლიოში ვაქცინის შექმნაზე. „მოწინავე კომპანიებს“ დიდი ფული აქვთ ჩადებული ვაქცინის შექმნაში და ახლა ამ ფულს ამოღება უნდა. ამიტომ ამის გამო ყველაფერზე წავლენ. ფარმაცევტული ბიზნესი ძალიან დაუნდობელია. კონკურენცია ძალიან მკაცრია და ხშირად ეს კონკურენცია ბინძური ფორმებით მიმდინარეობს. ახლა ასტრაზენეკას ჩაძირვა ცადეს. პირადად მე ავიცერი ასტრაზენეკათი და ყველას ვურჩევ! გამოცდილი მეთოდოლოგიით არის დამზადებული. კი, რაღაც შემთხვევები ხდება, მაგრამ, შესაძლოა, ადამიანმა ასპირინი მიიღოს და იქ დაემართოს ალერგიული შოკი ან სულაც ფუტკრის ნაკბენზე და იმისგან მოკვდეს. 138 მილიონი ადამიანი კვდება ყოველ წელს ავტოსაგზაო შემთხვევისას, სადღაც 4 ათასამდე დღეში. მაშინ ნუ ჩავსხდებით ავტომანქანაში.

***– საჭიროა აქტიური კამპანია, რომელიც არ ტარდება?***

– ნამდვილად ასეა, არ ტარდება და არც ჩაუტარებიათ. ამაზე სერიოზული მუშაობა იყო საჭირო. ევროპაშიც იგივე განწყობებია, მაგრამ ევროპა მუშაობს. იქ ანტივაქსერული განწყობები ძალიან ძლიერია. სახელმწიფო აქ უნდა გახდეს ლოკომოტივი. ტელევიზიებიდან გინებისა და ერთმანეთის შეურაცხყოფის მეტი არაფერი ისმის. ირაკლი კობახიძის ჩვენებას ტელევიზიით აჯობებს, ვაქცინაციის სიკეთეებსა და მის პროპაგანდაზე ისაუბრონ. უამრავი რაღაცის გაკეთება შეიძლება. თუ არ შეუძლიათ, მიგვიშვან და ჩვენ გავაკეთებთ. მიშვება კი არა, ჩვენი აზრის მოსმენაც არ უნდათ. ახლა რომ აკრძალეს პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებში აცრები, მე ეს ვთქვი იანვრის ბოლოს. კიდევ კარგი, მოისაზრეს ამდენი და მარტო საავადმყოფოებში გადაიტანეს. ამ საწყალი გოგოს სიკვდილმა ძალიან ბევრი გადაარჩინა.

***– ამ ფონზე, როდესაც ძალიან რთულდება ვაქცინაციის პროცესი, გვიახლოვდება მესამე ტალღა. ეს რამდენად მძიმე იქნება?***

– ძალიან მძიმე იქნება, ძალიან! დიდი ქვეყნები თავიდან იკეტება. ზოგი კითხულობს, ეს ქვეყნები რატომ იკეტება, ხომ იცრებიანო? არა, მეგობრებო, სანამ ვაქცინაცია არ მიაღწევს 70%-ს, მანამდე შედეგი არ ექნება არც ერთ ქვეყანას. ისრაელმა ყველაზე პირველმა დაიწყო ვაქცინაცია, აცრა მოსახლეობის დიდი ნაწილი და დღეს ის აბსოლუტურად ღია ქვეყანაა. საფრანგეთი ჩაიკეტა, გერმანიაც ჩაიკეტება, იმიტომ, რომ ჯერ ვერ მიაღწიეს 70%-ს. ჩვენთანაც მოიმატებს რაოდენობა. უკვე დაწყებულია მატება. ექიმები მაინც რომ გვყავდეს აცრილი, ამხელა შიში არ გვექნებოდა.

გუშინ, სადაც მე ავიცერი, იმ კლინიკაში 40 ექიმი იყო ჩაწერილი ასაცრელად და აქედან 23-მა უარი განაცხადა აცრაზე, რეგისტრაცია გააუქმა. კატასტროფული მონაცემები გვაქვს. გამოდის ეს ბედოვლათი ჯანდაცვის მინისტრი და მეც ახლა გავიკეთებო. ახლა კი არა, პირველი შენ უნდა ყოფილიყავი! შენ უნდა მიგეცა მაგალითი და არა პაატა იმნაძეს! სამარცხვინოა ეს ყველაფერი და ძალიან ცუდ დღეში ჩავცვივდებით, იმიტომ, რომ არ იციან მართვა. ასევე პასუხისმგებლობა აქვთ ნულს ქვემოთ. გამოდიან დაყენებული სახეებით და ამ დროს არაფერი იციან. არც იმ სამმა მუშკეტერმა იცის რამე. ჩარჩნენ საბჭოთა კავშირში! დიდხანს ვითმენდი, მაგრამ უკვე შეუძლებელია ამათი მოთმენა! თავმოყვარეობა თუ აქვთ, უნდა გადადგნენ, მაგრამ სად აქვთ თავმოყვარეობა?! მინისტრიან და სამმუშკეტერიანად ყველა უნდა წავიდეს! ასევე პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ გაქცეულ პრემიერ-მინისტრს, გახარიას. არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ვაქცინა დროზე შემოგვეტანა! არაფერი გაუკეთებია და გაიქცა კურდღელივით!

# „კალაძე, გახარია და კვირიკაშვილი მესამე ძალის შექმნას ერთად შეძლებენ“

ნათია ხურცილავა

## ვახტანგ ძაბირაძე: „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ევროპული საქართველო“ ნაციონალებისგან თავის დაღწევას ვერ შეძლებენ“

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა და ოპოზიციამ მაისისთვის გადასწია დიდი აქცია, შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკური პროცესი დასრულებულია?***

– მე არ ვთვლი, რომ პროცესი დასრულებულია. არც იმას ვთვლი, რომ დასავლეთმა ჩვენზე ხელი ჩაიქნია, გაგვებუტა და აღარ დაგველაპარაკება. სენატში არის საქართველოზე მოსმენა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო მოსმენა იქნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა არ ვფიქრობ, რომ არჩევნებთან დაკავშირებით ბრიუსელისგან განსხვავებული შეფასებები იქნება ვაშინგტონში.

ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე, ასევე იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლება უფრო მშვიდი, იმედიანი და თამამი გახდა, არჩევნების არალეგიტიმურობის საკითხი და, შესაბამისად, ვადამდელი არჩევნების თემა, ალბათ, უკანა პლანზე გადაიწევს.

***– დღის წესრიგიდან პოლიტპატიმრების გამოშვებაც მოიხსნება? როგორც გაირკვა, ამ ორ საკითხზე განსაკუთრებული რეაქცია ჰქონდა ხელისუფლებას.***

– ცოტა სასაცილოდ ჟღერს, როდესაც საუბარია პოლიტპატიმარზე, რომლის გათავისუფლებაც 10 ათასი ევრო ჯდება. პოლიტპატიმრებსა და დისიდენტებზე რაღაც-რაღაცები მეც გამიგია, მაგრამ 10 ათას დოლარად ვინმეს გათავისუფლება არ გამიგია. ამიტომ, ვფიქრობ, არც ეს საკითხი იქნება კატეგორიულად მოთხოვნილი. შეიძლება, კვლავ სავაჭრო თემა იყოს, შედით პარლამენტში და გამოუშვებენ და ა.შ.

სწორი გადაწყვეტილება იყო ოპოზიციის მხრიდან, როდესაც ხვალ და ზეგ კი არა, გამოსვლები მაისისთვის გადადო. დღეს ხალხში არ არის ძლიერი საპროტესტო მუხტი, რომელიც მასობრივად გამოიყვანს ადამიანებს ქუჩაში. თუმცა არის ერთი ხიფათი როგორც ოპოზიციისთვის, ისე საერთოდ ქვეყნისთვის: თუ 15 მაისსაც ვერ შეძლეს ძალიან მასშტაბური აქციის გამართვა, საზოგადოებაში არსებული პროტესტის მობილიზება, შეიძლება, ეს კატასტროფა აღმოჩნდეს ოპოზიციისთვის. ფაქტობრივად, ეს იქნება იმის სიგნალი, რომ ადგილობრივ არჩევნებს ოპოზიცია კატასტროფულად წააგებს, რაც ქვეყნისთვის ძალიან ცუდი იქნება. თუ, „ქართული ოცნება“ ადგილობრივ არჩევნებსაც „კატასტროფულად“ მოიგებს, მაშინ ეს მართლა რეალური პრობლემა იქნება ქვეყნისთვის. ეს იქნება ნიშანი, რომ 2024 წლის არჩევნებსაც წააგებს ოპოზიცია.



***– გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ ძლიერი ალტერნატიული ძალის შექმნაა საჭირო. დღეს არ არის მზად ქართველი ხალხი და არც ჩვენი დასავლელი პარტნიორები, რომ რომელიმე ერთ პოლიტიკურ მოთამაშეს გადააბაროს ძალაუფლება.***

– სწორი მიდგომაა, მაგრამ ეს არ არის სიახლე. ძალიან დიდი ხანია, საუბარია მესამე ძალის შექმნაზე და ელექტორალურად ამ ძალას მნიშვნელოვანი საყრდენი ექნება, მაგრამ დღემდე ვერ მოხდა ასეთი ცენტრის ჩამოყალიბება. ჯერ კიდევ არ არის გვიან, მაგრამ, ძალიან მეეჭვება, რომ პატარა პარტიებმა, ვგულისხმობ თუნდაც „ლელოს“, „სტრატეგია აღმაშენებელსა“ და „ევროპულ საქართველოს“, შეძლონ ნაციონალური მოძრაობის ორბიტისგან თავის დაღწევა.

თუ ასე გაგრძელდა, რიგგარეშე არჩევნებზე თუ 2024 წლის არჩევნებზე არჩევანი ისევ ორ ძალას შორის იქნება, თუ მანამდე არსებულმა ოპოზიციამ ყველანაირი მხარდაჭერა არ დაკარგა.

***– რამდენად შეიძლება, პოლიტიკურ ასპარეზზე დამოუკიდებლად გამოჩნდეს გახარია, რომელიც რეიტინგებს ზომავს, ასევე კახა კალაძე, რომელიც ხელისუფლებისგან ოდნავ განსხვავებული რიტორიკით გამოდის?***

– თეორიულად ცალკე აღებულს, არც გახარიასა და არც კალაძეს იმდენი პოლიტიკური კაპიტალი არ გააჩნიათ, რომ მათ შეძლონ სერიოზული მესამე ძალის ჩამოყალიბება. თეორიულად ასეთი ძალის შექმნა შესაძლებელია, თუ კალაძე, გახარია და კვირიკაშვილი ერთად შეძლებენ მის შექმნას. ეს იქნება ძალიან სერიოზული განაცხადი. როგორც კი ასეთი პოლიტიკური ძალა გაჩნდება ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, შემიძლია, ნაძლევიც კი დავდო, რომ ამ ძალას 20-დან 25%-მდე მხარდაჭერა ექნება. ეს უკვე ნამდვილად იქნება მესამე ცენტრი. სამივეს ძალიან სერიოზული გავლენა აქვს ქვეყნის შიგნით, ასევე აქვს პოლიტიკური კაპიტალი, მაგრამ ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება და საკმარისი არ არის მხოლოდ ორგანიზაციის შექმნა. შეცდომები არ უნდა დაუშვან.

კიდევ ერთი, ქართველი საზოგადოება, რომელიც რადიკალიზმის მომხრე არ არის და ეს უკვე კარგად გამოჩნდა, სწორედ ასეთ ძალას ირჩევს. ეს სერიოზული პოტენციალია. მეორე, თუ ეს ტრიუმვირატი შეიკვრება, არა მგონია, მათ დასჭირდეთ რომელიმე ოპოზიციურ ძალასთან პარტნიორობა.

***– თუმცა რამდენად შესაძლებელია ასეთი ერთობა?***

– ეს არის თეორიული ვარიანტი. თუ ცალ-ცალკე გავლენ არჩევნებზე, 1%-იან ბარიერს ყველა გადალახავს, მაგრამ 5%-იანი ბარიერის დაძლევა გაუჭირდებათ. ორის ერთობაც გარკვეულ შედეგს დადებს, მაგრამ, ვფიქრობ, მთლიანი ეფექტი რომ მიიღოს ქვეყანამ, ეს ტრიუმვირატი აუცილებელია, რათა სერიოზული მესამე ძალა შეიქმნას.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მიშას მომხრე 1 მილიონია, ბურჯანაძისა და ბოკერიასი — ნული. მიშა უნდა გაიწიოს და ესენი დარჩნენ?!“

## თაკო ჩარკვიანი: „ბურჯანაძესთან რადგან ნათელმირონობა მაკავშირებს, რუსული ჯარი შემოვაყვანინო?!“

იაგო ნაცვლიშვილი

მას შემდეგ, რაც ევროკავშირის შუამავლობით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართული ხუთდღიანი მოლაპარაკებები ჩავარდა, ოპოზიცია მოქმედების სხვა გეგმაზე გადადის. შაბათს ოპოზიციის ლიდერებმა დააანონსეს, რომ რეგიონებში გადიან, რათა ადამიანებს აუხსნან, რამდენად საშიშია „ქართული ოცნების“ მმართველობა და ეცდებიან დაარწმუნონ, რომ მათ აქციებს შეუერთდნენ.

ოპოზიციაში ამბობენ, რომ აქციაზე იმაზე მეტ ხალხს გამოიყვანენ, რამდენი თმაც ირაკლი კობახიძეს აქვს.

რა აძლევთ რწმენას, რომ ახლა მაინც გამოიყვანენ ბევრ ხალხს ქუჩაში? რატომ თვლის, რომ ოპოზიციის მოქმედებებში კორექტივებია შესატანი და რა კორექტივია ეს? ვინ უნდა გადაინაცვლოს ოპოზიციის ლიდერებიდან კულისებში და რამდენად დროულია ამ საკითხებზე ახლა საუბარი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „კანონი და სამართლის“ დამფუძნებელი და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი **თაკო ჩარკვიანი** საუბრობს.

***— ოპოზიციამ დასახეთ გეგმა და ამბობთ, რომ დიდი რაოდენობით ადამიანებს გამოიყვანთ ქუჩაში. რა გაძლევთ ამ რწმენას, რომ ახლა მაინც გამოვა ბევრი ხალხი აქციაზე?***

— მე დიდი ხანია, ჩემს პირველ ჩვენებას „ვაწვები“ და ალბათ გახსოვთ, თქვენთან ინტერვიუშიც ვთქვი, რომ კორექტივები შესატანია თავად ოპოზიციის შიგნით. საფუძველს, რომ ხალხი აუცილებლად გამოვა ქუჩაში დღეს თუ ხვალ, მაძლევს ის ვითარება, რაც ქვეყანაში ხდება. მე ამ ვითარებას ვაფასებ ხოლმე არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ, როგორც მოქალაქე, რომელმაც გააკეთა პარტია, რომ ქვეყანაში იყოს სამართლებრივი რეფორმები. შეხედეთ, როგორი სიღარიბე და უმუშევრობაა და აქ რა შუაშია ოპოზიცია? ხალხი ამ ვითარებით ხომ უკმაყოფილოა? მოდით, ცოტა ხნით დავანებოთ თავი, მის გარეშე კარგად არის ყველაფერი?! მაგრამ არის რაღაცები, რაშიც კორექტივებია შესატანი.

***— რა კორექტივებზე საუბრობთ?***

— „კანონი და სამართალი“ შევთავაზებთ კოლეგებს ამ გეგმას. ამ კვირის განმავლობაში გვექნება ურთიერთობა. რამდენიმესთან მქონდა საუბარი უკვე. მე რაღაც გეგმას შევთავაზებ, შევჯერდებით ამ გეგმაზე, ოღონდ ეს უნდა იყოს მხოლოდ დასავლური სექტორისთვის. ეს არის ჩემი უსერიოზულესი პირობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოვა.

***— ამის გარეშე არ გახვალთ აქციაზე?***

— არავითარ შემთხვევაში. მე დავრჩები ხალხის პოზიციაზე. ხალხი არ გამოდის ზუსტად მაგიტომ, რომ იქ რუსული სექტორია.

***— „აქცია ბურჯანაძის გარეშე“ — ეს არის თქვენი ხედვა?***

— ეს არის ჩემი ურყევი პოზიცია. აქამდე რაც ვთქვი, ეს მარტო ჩემი სიტყვები არ არის, რაც ვთქვი, ყველაფერი სიტყვასიტყვით მიდის.

***— მაგრამ ახლა არის იმის დრო, რომ ოპოზიციაში გქონდეთ ერთმანეთის მიუღებლობა?***

— ზუსტად ახლაა ის დრო. ან ახლა, ან დაიქცევა ყველაფერი.

***— ამ ლოგიკით მიშაც მიუღებელია რაღაც ნაწილისთვის და „ოცნებას“ საზოგადოების ნაწილი ისევ ამის გამო აძლევს ხმას. ამაზე რას იტყვით?***

— ვისთვის რა არის მიუღებელი, ვერ გეტყვით, მაგრამ სააკაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს 1 მილიონი ამომრჩეველი და ჩვენ რა უფლება გვაქვს, ამაზე რამე ვთქვათ?! თავი დავანებოთ გაყალბებას, რომლის მიუხედავად, ერთმა მსხვილმა ოპოზიციურმა პარტიამ მიიღო 27%. რა შუაშია, ვისთვის რა არის მიუღებელი?! ისინი ხომ ჩვენი მოქალაქეები არიან! ხალხმა მანდატი ვისაც არ მისცა, რატომ ვაცოცხლებთ მას, რომლითაც გვამუნათებს მოწინააღმდეგე კობახიძე?! რატომ ვაძლევთ ამის საბაბს?! ხალხი ბრძენია. მან გაანულა რუსული ვექტორი, მოსპო. რა ქნას მეტი ამ საწყალმა ხალხმა?!



მე არ ვარ ნაციონალურ მოძრაობაში, სიაში ჩასმა როდესაც შემომთავაზეს, ამაზეც უარი ვთქვი, მაგრამ ობიექტურობა არ მაძლევს შესაძლებლობას, რომ ეს არ ვთქვა — გამორიცხულია, ეს რადიკალიზმი და პოლარიზაცია დასრულდეს, თუ არ მივაღწიეთ კოალიციური მთავრობის შექმნას.

***— ბურჯანაძე გვერდზე რომ გაიწიოს, გაცილებით მეტი ადამიანი გამოვა ქუჩაში?***

— გარკვეული სეგმენტი და არა მხოლოდ ბურჯანაძე, განსაკუთრებით კი — რუსული ვექტორი. მეუხერხულება გვარისა და სახელის დასახელება, იმიტომ, რომ ვიღაცას ეგონება, პიროვნულად მაქვს ეს დამოკიდებულება, მაგრამ მიუღებელია რუსული ვექტორი, რომელიც რამდენიმეჯერ იყო ხელისუფლებაში, ცუდი ბეგრაუნდი აქვს ჩანაწერებით, არსებობს ცუდი განცხადება 7 ნოემბრის მოვლენებზე, რომელიც 9 ნოემბერს გაკეთდა. მაშინ ის იყო პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა: მადლობა მინდა გადავუხადო სპეცრაზმს და სახელმწიფო შედგა. ეს თქვა დარბევაზე.

ამასთან დაკავშირებით გარკვეულ ადამიანებს კითხვები აქვთ და გვეუბნებიან, ტელევიზიის შევიწროებაზე საუბარი რატომ უნდა მოვისმინოთ ჩვენ ბურჯანაძისგანო. დარბევაზე როდესაც არის საუბარი, მე ვამბობ, რომ 7 ნოემბრის დარბევაც კატასტროფა იყო, 26 მაისს ბურჯანაძის მიტინგის დარბევაც კატასტროფა იყო და თვალების დათხრის მიტინგის დარბევაც. საერთოდ, საკუთარ ხალხს რომ უპირისპირდები, ეს არის კატასტროფა.

ქართველ საზოგადოებას არ მოუსმენია ბოდიში და ეს ბოდიში არც კობახიძეს მოუხდია. ჩვენ მარტო მოვისმინეთ ბურჯანაძისგან ის, რომ 500 კაცი რომ მოკვდებოდა, ეს არაფერი იყო და მას სურდა რუსული ჯარის შემოყვანა.

***— ჩვენ გვქონდა ინტერვიუ ბურჯანაძესთან და თქვენს კრიტიკაზე თქვა, რომ პიროვნულად უპირისპირდებით. რატომ?***

— არ მაინტერესებს, რა თქვა. რა კავშირი მაქვს, რა პრობლემა მაქვს, პიროვნულად რომ დავუპირისპირდე?! პრობლემა აქვს ჩემს სამშობლოს ოკუპანტთან. არ გვაქვს ახლა იმის დრო, რომ ბურჯანაძეს პასუხი გავცე. არ შემიძლია.

ამ კვირის ბოლოს ახალგაზრდებთან ერთად ოპოზიციას შევთავაზებთ გეგმას, თუ შეიძლება გამოიკვეთოს დასავლური ვექტორი.

***— ანუ ახლა „სტრატეგია აღმაშენებლის“ სახელით არ ლაპარაკობთ?***

— არა, რატომ არ ვლაპარაკობ? გიორგი ვაშაძესაც მკვეთრი პოზიცია აქვს ამ თვალსაზრისით და ალბათ მოისმინეთ მისი განცხადება, რომ დასავლური ვექტორი უნდა გამოიკვეთოს. არა მხოლოდ ოპოზიციაზე ვსაუბრობ. მე მაინტერესებს, გავრილოვის შემომყვანმა კობახიძემ თითი რატომ უნდა გვიქნიოს?!

არანაირი პიროვნული მოტივაცია არ მაქვს, ვექტორის გამოყოფა მინდა. ვინც უარყო ჩემი სამშობლო, ის არ უნდა იჯდეს იმ მაგიდასთან. ხალხს ნუ ვუხტებით წინ! გაანულა რუსული ვექტორი ხალხმა და ხმების მიცემის თვალსაზრისით რუსულ ვექტორს უარი უთხრა წლების განმავლობაში? — რა თქმა უნდა, უთხრა, რაც ნიშნავს იმას, რომ ხალხს არ უნდა რუსული ვექტორი. შენ ოპოზიცია რომ ხარ, რატომ აკეთებ მის რეანიმაციას? ეს ხომ წარმოუდგენელი სისულელეა!

ხალხი მართლა მონდომებულია, მაგრამ დამშეულია და რაღაც სიახლეს ელოდება. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ გავაიგივოთ მიშასთან. მიშას მომხრე 1 მილიონია და ბურჯანაძის — ნული. რატომ ვადარებთ ერთმანეთს?! მე ამ შემთხვევაში, როგორც მოქალაქე, ისე გელაპარაკებით. გამოვიდა ბობოხიძე და უნდა გაიწიოს მიშაო, ან რა ჩემი საქმეა ეს, ან ბობოხიძის და ან ბოკერიასი, გაიწევა თუ არა თავისი პარტიიდან?! ბოკერია რომ გამოვიდა იმ პარტიიდან, გაინულა რეიტინგი და ნულზეა დღეს.

***— თუ თქვენი მოსაზრებები არ იქნება გაზიარებული, რომლებსაც ოპოზიციას წარუდგენთ, მაშინ იქნებით თუ არა ოპოზიციის აქციაზე? პირდაპირ მიპასუხეთ ამ კითხვაზე კი ან არა.***

— მე ვიცი ოპოზიციაში კოლეგების ნაწილის აზრი და ვიცი, რომ გაზიარებული იქნება. პირდაპირ გეუბნებით. ნურავინ შეუშლის ამ პროცესს ხელს, რომ გაჭირვებული ხალხი გვენდოს და მოვიდეს.

***— კიდევ ვინ არ უნდა იდგეს აქციაზე?***

— არ მინდა ახლა ამაზე საუბარი. ყველაფერი გამჭვირვალე იქნება და ყველაფერს გაიგებთ. ბურჯანაძეზე რომ ვსაუბრობ, სწორად გაიგეთ, მე ვექტორზე მაქვს საუბარი.

***— ამ პერსონებს შორის ბოკერიასაც ხომ არ გულისხმობთ?***

— თუნდაც. შეიძლება, ბოკერიაც არ უნდათ ასეთ აქტიურ მდგომარეობაში. მე არ ვამბობ, რომ გაქრნენ პოლიტიკიდან, მაგრამ არის რაღაცა და ამ ვითარებაში გარკვეული სახეები გვერდზე უნდა გაიწიონ. გიგა ბოკერია ნამდვილად არ მიმაჩნია უჭკუო ადამიანად. პოლიტიკაში არიან გარკვეული ადამიანები და ისინი ცოტა ჩრდილში უნდა დადგნენ. არაფერია განსაკუთრებული და მტკივნეული. მე არ მითქვამს, რომ გაქრნენ პოლიტიკიდან, მაგრამ ბურჯანაძემ გეგმა რომ უნდა გამომიცხადოს, ეს არ არის სწორი.

***— ანუ თვლით, რომ ბურჯანაძე უნდა იყოს აქციაზე, ოღონდ კულისებში?***

— კი, ნამდვილად ასეა. ეს არ არის ჩემი მოთხოვნა. ეს არის იმ ხალხის მოთხოვნა, ვინც გაანულა რუსული ვექტორი საქართველოში. ოპოზიცია აცოცხლებს მათ და კითხვა ისმის, რატომ? ხომ გვინდა, პროცესი სწორად წავიდეს და არ მიდის სწორად. აგერ ქალბატონს უთქვამს, პირადი ინტერესიო.

***— ისიც თქვა, რომ ნათელმირონობა მაკავშირებს და ამის გამო ვიკავებ თავს, ვუპასუხოო.***

— რა გავაკეთო, რადგან ნათელმირონობა მაკავშირებს, როგორც მას უნდა, შემოვაყვანინო რუსის ჯარი?! იმ ნათელმირონობით ესწავლა სამშობლოს სიყვარული. რა გავაკეთო?! მოვუწონო კოსაჩოვთან ბოდიში?!

***— არა, კონტექსტი ასეთი იყო, პასუხის გაცემისგან თავს ამიტომ ვიკავებო.***

— რა პასუხი უნდა გამცეს?! ხალხს გასცეს პასუხი, ტელევიზიის დარბევას რომ ამართლებდა. პატივს ვცემ ნათელმირონობას, მაგრამ, იმის გამო, რომ მამაჩემის ნათლულია, მისი ჩანაწერი მოვიწონო?! მოვიწონო უბლოკო სტატუსი, რომ რუსეთმა და ირანმა შემჭამოს?! მე ვიბრძვი, რომ ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი გახდეს საქართველო და ქალი უბლოკო სტატუსს აყენებდა.

მე ვიბრძვი არა ერთი პარტიის ხელისუფლებაში მოსვლისთვის, არამედ პარტიებისა და კოალიციური მთავრობისთვის, რამაც უნდა მოიტანოს ჯანსაღი რეფორმები. ამისთვის კი სწორი პროცესებია საჭირო.

ბურჯანაძესთან დაკავშირებით ხალხის მხრიდან არის პრეტენზია. ეს არის ერთ-ერთი პრობლემა და არა ერთადერთი. ობიექტური უნდა ვიყო. ხალხი ამბობს, ებრძვით გავრილოვის შემომყვან კობახიძესა და „ოცნებას“, მაგრამ გვერდით გიზით კოსაჩოვისთვის ბოდიშის მომხდელი და რუსული ჯარის შემოყვანის მოსურნე ნინო ბურჯანაძეო. ხალხი არ ტყუვდება. ეს კორექტივი შესატანია ოპოზიციის მოქმედებებში.

მე არ ვამბობ, რომ აორთქლდეს პოლიტიკიდან. ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველაფერში მას და მის ოჯახს, გარდა რუსის ჯარის შემოყვანისა.

დანარჩენში ყველაფერში გაუმარჯოს.

# თამარ ბაჩალიაშვილის მანქანას უცნობი დაეჯახა



გუშინ, 21 მარტს, გარდაცვლილი პროგრამისტის თამარ ბაჩალიაშვილის კუთვნილი ავტომობილი დააზიანეს.

აღნიშნულის შესახებ ოჯახის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განაცხადა.

როგორც მან „ინტერპრესნიუსთან“ აღნიშნა, თამარ ბაჩალიაშვილის ავტომობილს მანქანა დაეჯახა. მისივე თქმით, ტერიტორიაზე, სადაც ინციდენტი მოხდა, განთავსებულია მაღაზიაც სათვალთვალო კამერებით.

— როგორც ვიცი, ხშირად გაურკვეველი ავტომობილები მათ სახლთან ჩერდებიან და დგანან გარკვეული დროით. დღეს მოხდა ავტომობილის დაზიანება. საპატრულო გამოიძახეს, არსებობს იქ მაღაზია, სადაც არის ვიდეოსათვალთვალო კამერა. როგორც ვიცი, მაღაზიაში არც მისულა საპატრულოს ეკიპაჟი, — აღნიშნა რამიშვილმა.

თამარ ბაჩალიაშვილის დედის, თეონა თამაზაშვილის თქმით, ადგილზე, სადაც ინციდენტი მოხდა, არის იმ ავტომობილის ფარები, რომელმაც მისი შვილის მანქანა დააზიანა.

— ერთი საათის წინ მოხდა, ხმა გავიგეთ და ამაზე გავიხედეთ, ავტომობილი იყო შემობრუნებული 90 გრადუსით, უკანა მარჯვენა კარი შეჭეჭყილია და იმ ავტომობილის ფარები ყრია, რომელმაც თამარის ავტომობილი დააზიანა.

არ ვიცი, რა ავტომობილით მოხდა დაზიანება. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, არც შემოსაზღვრეს ტერიტორია, ხვალ დილას დამლაგებელი მივა და დაგვის იმას. გამოძიება რამდენად დაიწყეს, არ ვიცი, მითხრეს, რომ მათ კომპეტენციაში არ შედის და ისინი ფაქტს ადგენენ მხოლოდ, მითხრეს, რომ გამომძიებელი დაგვიკავშირდება ერთიდან სამ დღეში, — განაცხადა თეონა თამაზაშვილმა.

# ბრიუსელში საქართველოს ელჩმა, ნატა საბანაძემ, თანამდებობა დატოვა

ნატა საბანაძემ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგში და ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა, თანამდებობა დატოვა.

ამის შესახებ ის განცხადებას თავად ავრცელებს.

„სულ რაღაც რამდენიმე თვეში 8 წელი შესრულდება, რაც მე საქართველოს წარმოვადგენ ბრიუსელში და ვხელმძღვანელობ ჩვენს მისიას ევროკავშირში. ეს იყო ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობა. ეს იყო მისია სავსე წარმატებებით, ისევე, როგორც გამოწვევებით — პროფესიული თუ მორალური.

დღეს მოვიდა დრო, რომ მე ეს ფურცელი გადავშალო. მივიღე გადაწყვეტილება, დამეწერა განცხადება გადადგომის თაობაზე, რომელიც მინისტრმა დააკმაყოფილა.

საქართველოს ევროპული მომავალი არის ის მიზანი, რომლის მისაღწევად ყოველთვის ვიბრძოლებ. მე მჯერა ამ მიზნის; მჯერა იმიტომ კი არა, რომ ევროკავშირის წევრობა პანაცეაა, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც თავისუფლებას და ღირსებას შეგვინარჩუნებს.

მინდა მადლობა გადავუხადო საელჩოს თანამშრომლებს, ჩემს გუნდს, რომლებსაც ბევრს ვუმადლი და რომელთა თანადგომის და შრომის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. მათი მსგავსი საჯარო მოხელეები წარმოადგენენ ჩვენი სახელმწიფოს ღერძს, გასაფრთხილებელს და დასაფასებელს“, — აცხადებს საბანაძე.

ნატალი საბანაძე ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად და ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელად 2013 წლის მაისში დაინიშნა.

ზემოხსენებულ თანამდებობამდე იგი ჰააგაში ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის უფროს მრჩევლად მუშაობდა.

ეუთოს უმაღლესი კომისრის კაბინეტში იგი სხვადასხვა თანამდებობაზე — მათ შორის, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების უფროსად, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის განყოფილების უფროსად მუშაობდა.

# შავ ზღვაში ნატო-საქართველოს ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩატარდა



შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვისა და ნატოს ხომალდებმა შავ ზღვაში ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩაატარეს.

სწავლება ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) საპორტო ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა.

ერთობლივ საზღვაო მანევრებში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აილენდის კლასის ხომალდები — „დიოსკურია“ და „ოჩამჩირე“ და ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ხომალდები: „REGINA MARIA“ (რუმინეთი), „KEMALREIS“ (თურქეთი) და „SMELI“ (ბულგარეთი).

წვრთნების მიზანია საქართველოსა და ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების საზღვაო ქვედანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის დონის ამაღლება.

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ვიზიტი საქართველოში ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერის მკაფიო გზავნილია. მნიშვნელოვანია, რომ ნატოს საზღვაო შენაერთის ვიზიტები საქართველოს შავი ზღვის პორტებში რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგია.

ერთობლივი წვრთნები საქართველოში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების სრული დაცვით განხორციელდა.

# „ოცნების“ კრიზისი სხვა რამეშია – ხალხს სათოფეზე არ ეკარება“

## ანზორ აბრალავა: „მთელი მოსახლეობა ჩაგვითრიეს ინტრიგებში ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის“

მარიამ მჭედლიშვილი

**ევროკავშირის მედიაციით საქართველოს მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის გამართული მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ მხარეები ურთიერთბრალდებებს განაგრძობენ. პოლიტიკური უთანხმოების ფონზე ქვეყანაში მძაფრდება სხვა პრობლემები და უარესდება მოსახლეობის მდგომარეობა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.**



**ანზორ აბრალავა:**

– არც იყო მოსალოდნელი, რომ ეს მოლაპარაკებები შედეგიანად დასრულდებოდა. სააკაშვილს თავის მიმდევრებთან ერთად არასდროს სდომებია თანხმობა, არჩევნები და სტაბილურობა. ახლა გეგმავენ რეგიონებში სიარულსა და 15 მაისს თბილისში აქციის გამართვას. ამაში არაფერი ახალი არ არის. ხალხთანაც გასულან, აქციებიც მოუწყვიათ. აქციების მეტს რას გეგმავდა სააკაშვილი, მაგრამ ყოველთვის ხელი მოეცარა. მაგონდება 1992 წელი და მაშინდელი ოპოზიცია. ახლაც უნდათ არეულობა, რაღაც დროებითი საბჭოებისა თუ კომიტეტების შექმნა. გვეუბნებიან, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ვერ მორიგდნენ. მორიგება რა შუაშია, როცა სააკაშვილსა და მის აქაურ თანამზრახველებს არჩეული აქვთ რევოლუციური გზა, ოღონდ, არ აქვთ საერთაშორისო მხარდაჭერა და საქართველოში ხალხი ვერ გამოჰყავთ საპროტესტოდ. ერთი სული აქვთ, დაიბრუნონ ძალაუფლება და გაატარონ თავიანთი ზომები.

***– რა ზომები უნდა გაატარონ ნაციონალებმა?***

– პირველ რიგში, ოპონენტების დაპატიმრება და სხვისი ქონების, საკუთრების ხელში ჩაგდება. რევოლუციონერები საკვანძო საკითხებს პირველი 100 დღის განმავლობაში აგვარებენ ხოლმე. სააკაშვილსაც ექნება გაწერილი, რა უნდა ჩაიდინოს. ამგვარი არაფერი უქნია თუ რა?!

***– „ქართული ოცნების“ ლიდერები რომ კრიზისს არ აღიარებენ, ისიც ხომ არ არის ადეკვატური? მათი მტკიცებით, პოლიტიკური კრიზისი მოგონილი და ხელოვნურია.***

– ქვეყანას უამრავი საკითხი აქვს გადასაწყვეტი. კრიზისი როგორ არ არის, მაგრამ „ოცნების“ კრიზისი სხვა რამეშია. მას ნაციონალური მოძრაობის გარდა არავინ ახსოვს. თუ იშვიათ გამონაკლისს არ ჩავთვლით, ხელისუფლება ძალიან შორსაა საზოგადოებისაგან. „ოცნების“ ჩინოსნები ჩვეულებრივ მოქალაქეებს სათოფეზე არ ეკარებიან. მათ არ იციან ადამიანების რეალური მდგომარეობა და განწყობა.

***– ამ დღეებში ხელისუფლების ადგილზე ყოფნა კიდევ უფრო არასასურველი გახდა. ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ადამიანების შეფასებებიც კი ასეთია – საქართველოს ხელისუფლება შედგება პირებისაგან, რომლებიც ელიტურ მედიკოსებთან ერთად შედიან ჯანდაცვის მაფიაში. ადამიანების აზრით, ამ მაფიას შეეწირა ახალგაზრდა ექთანი მეგი ბაქრაძე.***

– ვაქცინაციის შემდეგ ექთანის ტრაგედიამ ადამიანებზე ძალიან იმოქმედა. ზოგი გულწრფელად შფოთავს, ზოგი – პოლიტიკური მოსაზრებებით. ჩნდება ვარიაციები. თავის სიტყვას ამაზე გამოძიება იტყვის. საქართველოს ხელისუფლება ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს. ვინც უნდა ყოფილიყო ხელისუფლებაში, ალბათ, არაფერი შეიცვლებოდა.

***– უშედეგოდ დასრულებული მოლაპარაკებების შემდეგ ევროპარლამენტში არ გამორიცხავენ დიალოგის გაგრძელებას საქართველოში. ამერიკელი ექსპერტები და დიპლომატები კი მოუწოდებენ აშშ-ის ადმინისტრაციას, აქტიურად ჩაერთოს საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის დაძლევაში.***

– ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემები უნდა მოაგვაროს საქართველოს ხელისუფლებამ. საქართველო არის სუვერენული ქვეყანა თავისი კონსტიტუციით. მაშინ, ნუ მივიღებთ გადაწყვეტილებებს და ყოველთვის ვიმოქმედოთ სხვების შეფასებების შესაბამისად.

***– საქართველოს ხელისუფლებამ რა უნდა მოიმოქმედოს?***

– ხელისუფლებას მართებს სიმტკიცე და გონიერება. მან უნდა განმარტოს, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც გარედან აგულიანებს სააკაშვილი, არყევს სახელმწიფოს განვითარებას. მათ, ვინც ასრულებს სააკაშვილის დირექტივებს, პასუხი მოეთხოვებათ.

***– ბევრს საუბრობენ ახალ ძალაზე ან ძალებზე პოლიტიკაში.***

– ახალი ძალის ჩამოყალიბება კი არა, სხვა რამეა უმთავრესი. მთავარია არა ხელისუფლების შეცვლა, არამედ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს ვერ მოხდება ჯანსაღი, სწორი იდეების გარეშე. ახალი სახეებიო, გაიძახიან. ახლანდელ პოლიტიკურ სპექტრში ახალი სახეების დეფიციტი არ არის. არც ერთ ახალ სახეს არაფერი შეუცვლია ხალხის საკეთილდღეოდ.

***– საქართველოში ახალი ძალები, როგორც წესი, წინა ხელისუფლებებს წარმოადგენენ.***

– ეს პოლიტიკური კამუფლაჟები ხალხის კეთილდღეობას არ ამაღლებს. ყველანი ინტრიგებში ჩაგვაბეს. მთელი მოსახლეობა ჩაგვითრიეს ინტრიგებში ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის. საზოგადოებამ თავისი როლი ვერ გაიაზრა. არადა, ხალხს აქვს ორგანიზებისა და ახალი იდეების წამოყენების უნარი.

***– საზოგადოების როლზე სხვებიც ალაპარაკდნენ.***

– საზოგადოება მარტო ერთჯერად აქციასა და სტიქიურ გამოსვლებში არ უნდა ჩანდეს. მან მაკონსოლიდირებელი და საორგანიზაციო ფუნქცია უნდა იტვირთოს. ამას ჯერჯერობით ვერ ვხედავ. არადა, თუ საზოგადოება არ გააქტიურდა, ქვეყნის პროგრესი არ იქნება. რაც უნდა ერთი მმართველი პარტია ცვალოს მეორემ, დავრჩებით მუდმივ გაჭირვებაში. პირადად მე მიმაჩნია, რომ სიდუხჭირიდან გამოსასვლელად ეკონომიკაში უნდა ჩაერთოს რაც შეიძლება მეტი სუბიექტი, ბიზნესმა და სახელმწიფომ უნდა გაიაზრონ სოციალური ფუნქცია. სოციალიზმის დაბრუნებაზე არ ვლაპარაკობ. საბაზრო ეკონომიკა უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ არა ღია და ფარული მონოპოლიების ხარჯზე. წერტილი უნდა დაესვას ინტერესთა შეუთავსებლობის პრაქტიკას. ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო მეტ დროს დაუთმობს უსაფრთხოებას. ყველაფერი დაკავშირებულია ერთმანეთთან.

# „ევროკავშირი საქართველოში 75-მილიონიან პროგრამას აჩერებს“

## ვახტანგ მაისაია: „საქართველო ამერიკა-რუსეთის პირდაპირი დაპირისპირების არეალია“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორ გაიგეთ ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის განცხადება, რომ ეს მომენტი და ეს დრო გადამწყვეტია, ამიტომ ყველამ საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესები პირველ ადგილზე უნდა დააყენოს, როდესაც ამაზე უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესი კომისარი, ალბათ, გულისხმობს იმას, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტი მომენტია, მით უმეტეს, კავკასიაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. თქვენ ამგვარ განცხადებას როგორ აფასებთ?***

– აღნიშნული განცხადება საქართველოს შიდაპოლიტიკიდან გამომდინარე გაკეთდა. პოლიტიკური კრიზისი უკვე სახელმწიფოებრივი კრიზისის დონეზეა. ამან შეიძლება სახელმწიფოს არსებობა ეჭვის ქვეშ დააყენოს და საქმე არშემდგარი ქვეყნის სტატუსამდე მივიდეს. ასეთი პერიოდი საქართველომ უკვე გაიარა. ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველო არშემდგარ ქვეყნად მიიჩნია.

მაშინდელმა კორუფციამ და განუკითხაობამ სახელმწიფო ლამის სრულ ჩამოშლამდე მიიყვანა. ელექტროენერგიის გათიშვები, ხელფასების არგაცემა, სოციალური სიდუხჭირე, კორუფცია ჩვეულებრივი რამ იყო. საქართველოში ყურადღება არავინ მიაქცია იმას, თუ რა სიტუაციაა გლობალურ დონეზე.

***– უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარს ხომ უფრო მეტი ინფორმაცია აქვს.***

– ახლახან რუსეთმა თავისი ელჩი ამერიკაში, ანტონოვი, კონსულტაციისთვის გამოიწვია და აშშ-სთან ურთიერთობა გაწყვიტა. ამერიკის პრეზიდენტმა პირდაპირ ეთერში რუსეთის პრეზიდენტ პუტინს მკვლელი უწოდა და რუსეთი ოფიციალურად დაადანაშაულა აშშ-ის საქმეებში უხეშ ჩარევაში (რუსეთი ერეოდა ამერიკის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში). ეს, ფაქტობრივად, რუსეთსა და ამერიკას შორის ომის გამოცხადებაა.

ასეთი მძიმე სიტუაცია ამერიკასა და რუსეთს შორის არ ყოფილა კარიბის კრიზისის დროსაც კი. კარიბის კრიზისის დროს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ხრუშჩოვი და კენედი ერთმანეთს მკვლელებს არ ეძახდნენ და დიპლომატიური ურთიერთობებიც ჰქონდათ. ამან სამყარო მესამე მსოფლიო ომისაგან იხსნა.

დღეს, ფაქტობრივად, ვხედავთ, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობები გაწყვეტილია. რუსეთმა მთლიანად გაწყვიტა ურთიერთობა ნატოსთან.

***– მგონი, ნატო-რუსეთის კომისია ფუნქციონირებდა. მუშაობა შეწყვიტა?***

– ნატო-რუსეთის საბჭო იყო და უკვე აღარ არსებობს. ურთიერთობები გაწყვეტილია. ფაქტობრივად, ორივე მხრიდან სამხედრო ძალის დემონსტრირება ხდება. დავუშვათ, შავ ზღვაში, ბალტიის აკვატორიაში და ა.შ. როცა ამერიკის პრეზიდენტი ასეთ განცხადებებს აკეთებს, ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია, როგორი ვითარებაა. ვიცით, პუტინი როგორი ადამიანია, ადამიანებს წამლავენ, პირდაპირ ერევიან სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში. ვითარება ურთულესია.



სამყაროს მესამე მსოფლიო ომამდე ერთი ნაბიჯი აშორებს (ფორმალურად, იმედია, საქმე აქამდე არ მივა, მაგრამ რეალურად ასეა), საქართველოში არეული სიტუაციაა. ამ დროს საქართველო ამერიკისა და რუსეთის პირდაპირი არეალია. მსოფლიო ამერიკასა და რუსეთს შორის არაფორმალური ომის გამოცხადების პირობებშია. რუსეთმა ამერიკას ომი უკვე გამოუცხადა, ხოლო ამერიკის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა პუტინს მკვლელი უწოდა. ამიტომ საქართველოში შიდაარეულობები ქვეყნის სახელმწიფოებრიობას საშიშროებას უქმნის.

***– მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აისახება მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია კავკასიაზე.***

– რუსეთმა ნებისმიერ დროს შეიძლება, პირდაპირ შემოაჯლიგინოს ტანკები და სამხედრო აგრესია განახორციელოს. ამერიკელების ინტერესები საქართველოში სერიოზულია. ამ დროს საქართველოში არეული, გაურკვეველი სიტუაციაა და ხელისუფლება, ზოგადად, ძალიან მყიფეა. ხელისუფლება შედგება მმართველი პოლიტიკური ძალისა და ოპოზიციისაგან პარლამენტში.

ხელისუფლებას მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალა არ წარმოადგენს. ოპოზიციაც ხელისუფლებაა. 60 სადეპუტატო მანდატი აქვს. დავუშვათ, შეეძლოთ, კოალიციური მთავრობა ჩამოეყალიბებინათ. შეიძლება, ორი-სამი კაცი შეიყვანო მთავრობაში და უკვე კოალიციური მთავრობაა.

ასეთმა არეულმა ვითარებამ, ფაქტობრივად, შეიძლება, მძიმე შედეგები გამოიწვიოს. როცა მსოფლიოში სიტუაცია არაფორმალური ომის დონემდეა, როცა რუსეთმა ამერიკიდან ელჩი გამოიწვია, ეს ნიშნავს ომის წინა მდგომარეობას. ასეთი მდგომარეობა არ ყოფილა საბჭოთა კავშირის დაშლის დროსაც კი. როდესაც ის სუვერენულ სახელმწიფოებად დაიშალა, მაშინ არ გამოუწვევიათ ელჩები ქვეყნების დედაქალაქებიდან.

***– ელჩი ამერიკას ხომ არ გაუწვევია?***

– ამერიკას ელჩი ჯერ არ გაუწვევია, მაგრამ რუსეთის ელჩის გამოძახება კონსულტაციებისთვის ელჩის გამოწვევაა. არ არის გამორიცხული, ამერიკელებმაც გაიწვიონ ელჩი. სიმეტრიული ზომები იქნება მიღებული. ასეთი სიტუაცია ძალიან საშიშია. უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის კომისარ ბორელის განცხადება ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

***– თქვენ თქვით, საქართველო ამერიკა-რუსეთის პირდაპირი დაპირისპირების არეალიაო, ანუ რუსეთს უნდა, ისე ჩაერიოს ჩვენს შიდასაქმეებში. თქვენ თუ დაინახეთ რუსეთის ჩვენს შინაურ საქმეებში ისევ ჩარევის სურვილი?***

– რუსეთს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევის სურვილი რომ აქვს, ეს გასაგებია. რუსეთი კავკასიის რეგიონს განსაკუთრებულ ზონად მიიჩნევს. ის პირდაპირ ჩაერია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში, ევროკავშირი კი – არა. ბორელმა და მიშელმა აღნიშნეს, რომ ევროკავშირი არ ჩარეულა. რუსეთი კი პირდაპირ ჩაერია, ზომები მიიღო და აზერბაიჯანიც რუსეთის გავლენის სფეროში მოექცა. ამდენად, რუსეთი თვლის, რომ კავკასია მისი განსაკუთრებული გავლენის ზონაა. მას სურს, ამ ზონაში არსებული სიტუაციების ბატონ-პატრონი იყოს.

***– იმედია, დასავლეთი ჩაერევა და, რუსეთი შემოტევას თუ განიზრახავს, შეაჩერებს და რუსეთს არ შეგვატოვებს, მაგრამ ჩვენი ოპოზიცია ბოლო დროს დასავლეთს გაუწყრა.***

– დიახ, სააკაშვილმა ანტიდასავლური განცხადებები გააკეთა, დასავლეთს იმპერია უწოდა. დასავლურ პრესაში სააკაშვილს კრემლის სასარგებლო იდიოტი უწოდეს. ყველა იმას ეთანხმება, რომ სააკაშვილი მართლა არის რუსეთის სასარგებლო იდიოტი. ეს ხდება იმ დროს, როდესაც რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიის 20%.

ოპოზიციასთან მოლაპარაკებებში მხოლოდ ევროპელი მაღალჩინოსნები კი არა, ამერიკის ელჩიც არის ჩარეული. დანიელსონთან ერთად, ამერიკის ელჩი იყო მთავარი ფასილიტატორი და მედიატორი. ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის. ამერიკელები ჩაერთვნენ ფასილიტაციაში, რომ როგორმე კრიზისი დაიძლიოს. ევროპელი პოლიტიკოსების ძალისხმევამ ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო.

მალე კონგრესში საქართველოს საკითხის განხილვა დაიწყება. ამერიკას ჩვენ მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია, ისევე, როგორც რუსეთს. ამ დროს ამერიკა რუსეთს დაუპირისპირდა და მსოფლიო დონის კონფლიქტი მწიფდება, ანუ ეს არის რიულენდი.

რიულენდი არის ადგილი, სადაც საბჭოთა კავშირი და ამერიკა იბრძოდნენ გავლენის მოსაპოვებლად, რათა თავს მოეხვიათ თავიანთი ეროვნული ინტერესები. ახლა უკვე საქართველო რიულენდის განუყოფელი ნაწილი გახდა, სადაც ამერიკა და რუსეთი ერთმანეთს უპირისპირდებიან. ქართველ საზოგადოებას ბორელმა ეს მიანიშნა. ტელემედიაში ამას არავითარი ყურადღება არ ექცევა.

***– ბორელის განცხადებებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ოპოზიციაში, კონგრესში საქართველოს საკითხის განხილვამ კი გაახარა, ხელისუფლებას ყურს აუწევენო.***

– ამერიკის კონგრესში დებატების დროს გამოჩნდება, ვის აუწევენ ყურს და ვის – არა. ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელმა საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა, რაც ჩვენმა მედიამ არ წარმოაჩინა.

***– რას გულისხმობთ?***

– მან პირდაპირ განაცხადა, რომ თუ საქართველოში პოლიტიკური კრიზისი არ დასრულდება, ევროკავშირი საქართველოში 75–მილიონიანი პროგრამის განხორციელებას აჩერებს. ჩათვალეთ, რომ ეს არის რბილი სანქცია ქვეყნის მიმართ.

# საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტები 4.000–4.000 ლარს მიიღებენ

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება დაიწყო.

ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

პროგრამის მიზანს ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა წარმოადგენს. შემოსავლის წყაროს გაჩენის, დასაქმებისა და თვითდასაქმების მიზნით, ჯამში, 200-მდე დაბრუნებული მიგრანტი დაფინანსდება.

– სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით გრანტები გადაეცემათ. დაფინანსების მიღება შესაძლებელია როგორც საქმიანობის დაწყების, ისე გაფართოების შემთხვევაში და მისი ოდენობა 4000 ლარს შეადგენს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დავეხმაროთ და მხარი დავუჭიროთ ემიგრაციიდან დაბრუნებულ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს. ამ ეტაპზე, რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, განაცხადების მიღება მიმდინარეობს და ჯამში, 200 მიგრანტი დაფინანსდება, – განაცხადა სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა.

პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება 4 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.

# ვენერა კურტანიძეს 4.000-ლარიანი გირაო შეეფარდა



ლაგოდეხის სასამართლომ ლაგოდეხში მე-6 კლასის მოსწავლეების მიმართ განხორციელებული იძულების საქმეზე არასრულწლოვნის ბებიას აღკვეთის ღონისძიების სახით 4.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

პროცესზე ბრალდებული ადვოკატის გარეშე იყო წარმოდგენილი. ბრალდებულმა სხდომის დასრულების შემდეგ მედიასთან კომენტარი არ გააკეთა.

2020 წლის 4 ნოემბერს სკოლის მოსწავლეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის გამო მე-6 კლასის მოსწავლეებმა ვ.ა.-მ და გ.მ-მ თანაკლასელს, მ.კ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ასევე აიძულეს, დაეჩოქა და თანაკლასელებისთვის ბოდიში მოეხადა.

აღნიშნული ფაქტის გამო 8 ნოემბერს მ.კ-ს ბებიამ, ვ.კ.-მ, ანალოგიური მეთოდით იძულებით დააჩოქა მუხლებზე არასრულწლოვნებ ვ.ა. და გ.მ. და დაჩოქილებს მისი შვილიშვილისთვის ბოდიში მოახდევინა.

აღნიშნული ფაქტის ვიდეოგადაღებას ახდენდა ერთ-ერთი არასრულწლოვნის მშობელი.

პროკურატურამ ვ.კ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 18 თვემდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება. ორივე ეპიზოდში მონაწილე არასრულწლოვნების მიმართ დანიშნულია ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, რომლის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე მიღებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილება.

ვენერა კურტანიძე თავს დამნაშავედ არ ცნობს. ის სკოლის მანდატურების დასჯას მოითხოვს.

– ყველა სრულწლოვანი დაისჯება, მიმდინარეობს გამოძიება. ვითხოვ მანდატურის დასჯას, რომლებსაც რეაგირება რომ გაეკეთებინათ პირველ ვიდეოზე, მსგავსი რამე აღარ მოხდებოდა, – თქვა ვენერა კურტანიძემ სასამართლო სხდომის დაწყებამდე.

# ავარიას წნორში 1 ადამიანი შეეწირა

კახეთში ავარიის დროს ერთი ადამიანი დაიღუპა. შემთხვევა 20 მარტს წნორში მოხდა.

სწრაფად მოძრავი მსუბუქი ავტომობილი მოცურდა და საპირისპიროდ მოძრავ მანქანას შეეჯახა. სხეულის მძიმე დაზიანებებით ერთი ადამიანი საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# სოფელ საიმედოში მანქანა ხეს შეეჯახა

## მძღოლი დაიღუპა

19 მარტს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმედოში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა და ხეს შეეჯახა. შემთხვევის დროს სატრანსპორტო საშუალებაში მხოლოდ მძღოლი იმყოფებოდა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილას იმყოფებოდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები.

მომხდარზე გამოძიება დაიწყო.

# საგარეჯოში 60 წლის მამაკაცს ტრაქტორი დაეჯახა და მოკლა

საგარეჯოში 60 წლამდე კაცი გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთში მოხდა.



კაცს პირველადი დათვალიერებით დაზიანებები აღენიშნებოდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მოგვიანებით გაირკვა, რომ მას თანასოფლელი ტრაქტორით დაეჯახა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ი.მ. დააკავეს.

მას ბრალად ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა ედება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

როგორც შსს-ში აღნიშნავენ, დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 18 მარტს, ღამით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთში ტრაქტორით შეეჯახა ქვეითად მოსიარულე თანასოფლელს – 1965 წელს დაბადებულ ნ.პ.-ს, რის შემდგომაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ნ.პ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# რუსთავში 17 წლის გოგონაშ თანატოლი გოგონა მუცელში დაჭრა

რუსთავში არასრულწლოვანმა გოგომ არასრულწლოვანი გოგო დაჭრა.

დაჭრის ფაქტი XX მიკრორაიონში დაფიქსირდა. თანატოლებს შორის კამათი სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რაც ცივი იარაღით დაჭრით დასრულდა.

17 წლის გოგონას ჭრილობები თანატოლმა მუცლის არეში მიაყენა. დაშავებული „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანეს.

სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტს ჩაუტარდა შესაბამისი პირველადი დახმარება და ის ბინაზე გაწერეს.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

# პოლიციის ავტოპარკს 225 ახალი ავტომანქანა შეემატა

შინაგან საქმეთა სამინისტროში საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი გრძელდება – პოლიციის ავტოპარკს 225 ახალი ავტომობილი: „შკოდას“ მარკის, სედანის ტიპის 175 ავტომობილი და „კია ნიროს“ მოდელის 50 ჰიბრიდული მანქანა შეემატა. ახალი ავტომობილებიდან არც ერთი არ არის განკუთვნილი სამინისტროს ხელმძღვანელი პირებისთვის.

ავტომანქანების გადაცემის ღონისძიება



თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. ღონისძიებას მინისტრის მოადგილეები – ვლადიმერ ბორცვაძე და გიორგი ბუთხუზი, ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე დაესწრნენ.

ახალი ავტომობილები გადაეცა პოლიციის დანაყოფებს თბილისსა და რეგიონებში, ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. საპატრულო მანქანების ავტოპარკის განახლება ხელს შეუწყობს მომხდარ დანაშაულზე პატრულ-ინსპექტორების დროულ და ეფექტიან რეაგირებას, ასევე, დანაშაულის პრევენციას.

საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების მიზანია საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და პოლიციელების სამუშაო პირობების გაუმჯობესება. შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგულარულად აახლებს თავის ავტოპარკს. სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს საპოლიციო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება-გაუმჯობესების პროექტებს.

# ამირან ფალავანდიშვილის მკვლელობისთვის მისი შვილი დააკავეს



ნატანებში 2021 წლის 21 იანვარს ამირან ფალავანდიშვილის მკვლელობისთვის მისი შვილი დააკავეს. ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული რ.ა. დააკავეს.

მას ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება ედება ბრალად.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, მშობლების საცხოვრებელ სახლში, ოჯახური კონფლიქტის დროს, მამას – 1960 წელს დაბადებულ ა.ფ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რ.ა. ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციის მიერ შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ხოლო დაკავებულის პირადი ჩხრეკისას კი ამოღებულია „ნაგანის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“.

# ბათუმში თურქეთის მოქალაქე დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1973 წელს დაბადებული ა.ბ. დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 5-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელეს ბრალდებულისგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა

ბათუმში, ბრალდებულის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 502 აბი, „მეტამფეტამინის“ შემცველი 13 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება, ასევე, 849 აბი და 12 ნატეხი „მდმა“.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

# რუსთავში 50 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

18 მარტს რუსთავში, მესხიშვილის ქუჩაზე, 50 წლამდე მამაკაცი გარდაცვლილი ნახეს.

მამაკაცი დილის საათებში, დამჯდარ მდგომარეობაში, საცხოვრებელი კორპუსის კედელზე მიყრდნობილი იპოვეს.

მამაკაცის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად ჰაერის დაბალი ტემპერატურა სახელდება.

50 წლამდე კაცი უსახლკარო იყო და ქუჩაში ცხოვრობდა.

– გუშინ მთელი დღე აქ დადიოდა ეს კაცი, ფერი არ ჰქონდა სახეზე, ვიფიქრე, ამას რაღაც აწუხებს-მეთქი. დღეს დილას კი თქვეს, მკვდარი ნახესო, – უთხრა „ინფო რუსთავს“ ადგილობრივმა.

ადგილზე მობილიზებული იყო პოლიციისა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

# გუდაურთან მოთხილამურის ცხედარი იპოვეს



19 მარტს მაშველებმა გუდაურის მიმდებარედ თოვლიდან მოქალაქის ცხედარი ამოიყვანეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა განცხადება გაავრცელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ გუდაურის მიმდებარედ მოქალაქე სრიალებდა გაუკვალავ თოვლში და ახლობლები ვერ ახერხებდნენ მის პოვნას.

შეტყობინებაზე რეაგირება დაუყონებლივ მოახდინეს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყაზბეგის სწრაფი რეაგირების სამმართველოს მაშველებმა. ახლობლების მიერ მითითებულ ადგილზე მაშველებმა იპოვნეს რამდენიმე მცირე ზომის ზვავი და დაიწყეს საძიებო სამუშაოები სამსახურის კინოლოგებთან ერთად. პროცესში, ასევე, ჩართულები იყვნენ სამთო კურორტების განვითარების კომპანიის მაშველები.

სამუშაოების შედეგად ნაპოვნია და თოვლიდან ამოყვანილია მოქალაქის ცხედარი“, – აღნიშნულია განცხადებაში.

# ნიკოლოზ შარაძემ მესაზღვრეებს პროფესიული დღე მიულოცა



მესაზღვრის დღესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ შარაძე სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პოლკოვნიკ გოჩა ჯანჯღავასთან ერთად სასაზღვრო სექტორ „ლეკისყურეს“ ესტუმრა.

პოლკოვნიკმა ნიკოლოზ შარაძემ მესაზღვრეებს პროფესიული დღე მიულოცა და სახელმწიფო საზღვრის დასაცავად გაწეული ერთგული და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა უწყების შესაძლებლობების გაძლიერებაზე ისაუბრა.

– შინაგან საქმეთა მინისტრისთვის სასაზღვრო პოლიციის გაძლიერება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია და ამ კუთხით 2020 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: გაუმჯობესდა სასაზღვრო ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო საზღვარი დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა, განვითარდა სასაზღვრო ავიაციის შესაძლებლობები და კიდევ უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან.

განსაკუთრებულად მინდა გამოვყო, რომ გასულ წელს აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით, აშენდა 4 სასაზღვრო სექტორი და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სექტორი „ლეკისყურეც“, რომლის ტერიტორიაზეც ახლა ვიმყოფებით, ერთ-ერთია ამ ოთხ სექტორს შორის. აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. ვაგრძელებთ აქტიურ მუშაობას სასაზღვრო პოლიციის კიდევ უფრო გაძლიერებისა და მესაზღვრეების სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, – განაცხადა ნიკოლოზ შარაძემ.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისთვის დააჯილდოვა. მათ შორის, 5 მესაზღვრე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნით „უმწიკვლო სამსახურისათვის“ დაჯილდოვდა.

საერთაშორისო

# ისრაელში ნეთანიაჰუს საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

20 მარტს ისრაელში პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს საწინააღმდეგო საპროტესტო აქცია გაიმართა.



აქტივისტები პრემიერის რეზიდენციასთან საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე 3 დღით ადრე შეიკრიბნენ.

დემონსტრანტები აცხადებდნენ, რომ ნეთანიაჰუს მმართველობა საბოლოოდ უნდა დასრულდეს.

23 მარტს ისრაელში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, რაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ქვეყანაში ჩატარებული რიგით მე-4 არჩევნები იქნება.

მოსახლეობის განსაკუთრებული სისწრაფით ვაქცინაციასა და რამდენიმე არაბულ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ ნეთანიაჰუს პარტიის მხარდამჭერთა რიცხვი, წინა არჩევნებთან შედარებით, გაიზრდება.

# ისლანდიაში მიძინებული ვულკანი ამოიფრქვა

## ფრენები შეწყდა

ისლანდიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, დედაქალაქ რეიკიავიკთან დაახლოებით 40 კილომეტრში, დიდი ხნის მიძინებული ვულკანი ამოიფრქვა.



შემთხვევის გამო კეფლავიკის საერთაშორისო აეროპორტში ფრენები შეჩერდა. ამინდის ეროვნულ ბიუროში აცხადებენ, რომ ამოფრქვევის შედეგად გამოწვეული ნაპრალის სიგრძე დაახლოებით 500 მეტრია.

ხელისუფლებამ მოქალაქეებს მოუწოდა, ამოფრქვევის ტერიტორიასთან მიახლოებისგან თავი შეიკავონ. ვულკანის ამოფრქვევის შესასწავლად ადგილზე სანაპირო დაცვის ვერტმფრენი გააგზავნეს.

# იაპონიაში 7,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

სულ ცოტა, 8 ადამიანი დაშავდა 20 მარტს იაპონიაში 7,2 მაგნიტუდის მიწისძვრის შედეგად მიაგისა და ივატეს პრეფექტურებში.



მიწისძვრამ არ იმოქმედა ატომური ელექტროსადგურების მუშაობაზე, რომლებიც ფუკუშიმას, მიაგისა და იბარაკის პრეფექტურებშია.

მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მიაგის პრეფექტურასთან, წყნარ ოკეანეში, 60 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი სალექი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

სპორტი

# ბათუმის დინამო ქულებს კარგავს

**საბურთალო-დინამო (ბთ) 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**საბურთალო:** გოშაძე, მალი, კაკუბავა, ჯინჯოლავა, ლაცაბიძე, შ.ნონიკაშვილი (ტერა 81), ძებნიაური, შულაია (გოჩოლეიშვილი 81), ლ.ნონიკაშვილი, ი.ტაბატაძე (გულიაშვილი 70), თ.ტაბატაძე

**დინამო:** კუპატაძე, აზაროვი, აზაცკი, კობახიძე, ჩაბრაძე, ტეიდი, მამუჩაშვილი (შინდაგორიძე 85), ფანცულაია (გროცურეკი 68), ჯილაური (მანჯგალაძე 85), ალთუნაშვილი, ნიქაბაძე

ტურის ცენტრალურ მატჩში საქართველოს ვიცეჩემპიონი და მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ბათუმის დინამო საბურთალოს „მიხეილ მესხზე" ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. ამ ქულის შემდეგ ზღვისპირელებს 11 ქულა აქვთ და ერთპიროვნული ლიდერები არიან, მაგრამ მათი გადასწრების შანსი გორის დილას აქვს.

პირველ ტაიმში დინამო ფლობდა უპირატესობას, მაგრამ საგოლე მომენტებამდე საქმე არ მისულა. აი, ტაიმის ბოლოს კი საბურთალოს შეეძლო გატანა კუთხურის შემდეგ, რომელიც ლაზარე კუპატაძის შეცდომას მოჰყვა.

საბურთალოელებს მე-2 ტაიმში გატანა კიდევ ორჯერ შეეძლოთ: ჯერ თომა ტაბატაძეს, შემდეგ – ლევან ნონიკაშვილს.

71-ე წუთზე მამუჩაშვილის დარტყმის შემდეგ უკვე საბურთალო გადაურჩა გოლს – გოშაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია და მატჩიც უგოლოდ გაილია.

**თელავი-დინამო (თბ) 0:3**

**თელავი. კავკასიონი არენა**

0:1 მარუსიჩი (62), 0:2 სპორკსლედე (68), 0:3 რადინი (72)

**თელავი:** სანიკიძე, ც.კაპანაძე, ბერიაშვილი, თევზაძე, ჯანელიძე, ინჯგია, აშორტია (მალდინი 72), შერღელაშვილი, ჯ.სანტოსი, შეყილაძე, გაბისკირია

**დინამო:** კვასხვაძე, მონხილი, პაპავა, ხვადაგიანი (ხარაბაძე 73), კობოური, ლ.გაგნიძე (კუცია 78), მექვაბიშვილი (მოისწრაფიშვილი 73), სპორკსლედე (წოწონავა 78), რადინი, გაბედავა (ახვლედიანი 73), მარუშიჩი



მასპინძლებმა კოვიდვირუსის გამო რამდენიმე ფეხბურთელი მოისაკლისეს. შედეგად, ისედაც ფავორიტ დინამოს მატჩის მოგება არ გაუჭირდა, თუმცა სანერვიულო მაინც ჰქონდა, რადგან პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. არადა, ზორან მარუშიჩმა ორჯერ გაარტყა ბურთი ძელს.

მე-2 ნახევარი სტუმართა შეტევებით გაგრძელდა და შედეგი ბოლო ნახევარ საათში გამოილო: 63-ე წუთზე დავით კობოურმა ჩააწოდა და მარუშიჩმა თავით გაიტანა. მალევე ფაბიან სპორქსლედემ მეტოქეს ბურთი თავზე გადაუტარა და ძირს დაუშვებლად გაისროლა ლუკა სანიკიძისკენ, ბოლოს კი მილან რადინმა დაახლოებით 25 მეტრიდან ცხრიანში გაისროლა – 0:3.

**შუქურა-სამგურალი 2:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 სარდალიშვილი (15), 2:0 ჩელებაძე (90)

**შუქურა:** შეროზია, ფარტენაძე, ჭანტურია, რეხვიაშვილი, გაფრინდაშვილი, კაკაშვილი, გურეშიძე, კაბრალი (იგნოროყვა 55), ჯერალდო (ხმალაძე 87), სარდალიშვილი, მუსელიანი (ჩელებაძე 78)

**სამგურალი:** ქვილითაია, გ.თევზაძე (გაზდელიანი 60), ქურდაძე, პატარკაციშვილი, გ.მჭედლიშვილი (დ.კირკიტაძე 78), ახვლედიანი, პონიავა, ჩიხლაძე, კიკაბიძე (გილმორი 46), ლექვთაძე (ვერულიძე 70), კუხიანიძე (ბუხაიძე 70)

**გაძევება:** ქურდაძე (90)

ორივე გუნდი ელიგაში დიდი ხნის შემდეგ არის დაბრუნებული და არ სურთ, რომ მალევე დატოვონ. არადა, ამის კანდიდატები არიან. თუმცა შუქურამ ცოტა გამოისწორა სიტუაცია და სეზონში მეორე მატჩი მოიგო.

წყალტუბოელთა კარში გოლები მიშიკო სარდალიშვილმა და გიორგი ჩელებაძემ გაიტანეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 5 | 3 | 2 | 0 | 5-1 | 11 |
| 2.დინამო (თბ) | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 3.დილა | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| 4.შუქურა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 5.ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 6.საბურთალო | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| 7.თელავი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 8.სამგურალი | 5 | 0 | 3 | 2 | 2-5 | 3 |
| 9.ტორპედო | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 10.სამტრედია | 4 | 0 | 0 | 4 | 0-6 | 0 |

# მანჩესტერი ნანობს და დაწუნებულ ფეხბურთელს იბრუნებს

მანჩესტერ იუნაიტედი პრემიერლიგის ცხრილში მეორე ადგილზე კი არის, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას ეს არ აკმაყოფილებს და ზაფხულში ბლომად ტრანსფერებს გეგმავს.



უკვე ცნობილია, რომ ოლე გუნარ სოლსკიაერი ვულვზისგან დაახლოებით 50 მილიონ გირვანქა სტერლინგად პედრო ნეტუს შეძენას აპირებს. საქმე ის არის, რომ იუნაიტედს მარჯვენა ფრთაზე გარემარბი სჭირდება, 21 წლის პორტუგალიელი კი ვულვზში შესანიშნავ სეზონს ატარებს.

ბედის ირონიაა, რომ ნეტუ მანჩესტერელებს 2016 წელს გასინჯვებზე უკვე ჰყავდათ და დაიწუნეს. მაშინ 16 წლის ფეხბურთელი ბრაგას ეკუთვნოდა.

იუნაიტედის დაწუნებული პედრო ნეტუ 2017 წელს ლაციომ წაიყვანა იჯარით და სწორედ იქ დაადგა თვალი ვულვერჰემპტონმა, ახლა კი მანჩესტერელებიც მიხვდნენ, რომ ოდესღაც უარყოფილი ფეხბურთელი ძალიანაც სჭირდებათ – ის მათთვის ჯეიდონ სანჩოსა და ჯეკ გრილიშის ალტერნატივაა.

მაგრამ ნეტუთი დაინტერესებული გახლავთ მანჩესტერელთა თანაქალაქელი მტერი სიტიც, თუმცა ინგლისური მედია წერს, რომ პორტუგალიელს იუნაიტედი იყიდის, რადგან „ქალაქელები" გრილიშს შეიძენენ.

რაც შეეხება სანჩოს, ის დორტმუნდში თამაშობს და მისი ფასი ძალიან არის დამოკიდებული იმაზე, იშოვის გერმანული გუნდი ერლინგ ჰოლანდის გაყიდვით დიდ ფულს თუ ვერა. თუ დორტმუნდი ჰოლანდში მიღებული სარფით დაკმაყოფილდება, მაშინ სანჩოს შეიძლება დააკლოს კიდეც ფასი.

სანჩო ჯერ 20 წლისაც არ არის, მაგრამ ჩემპიონთა ლიგასა და ნაკრებში თამაშის გამოცდილება უკვე, იცოცხლეთ, აქვს. მარტო ინგლისის ეროვნულ გუნდში 18 კეპი აქვს მოგროვებული.

გასულ ზაფხულს დორტმუნდმა სანჩოს 100 მილიონი გირვანქა დაადო ფასად და ფეხი აღარ მოუცვალა.

ამბობენ იმასაც, რომ ჩამოთვლილთა გარდა, მანჩესტერი მუშტრის თვალით უყურებს ლიდსის გარემარბს, 24 წლის ბრაზილიელ რაფინიასა და ლისაბონის სპორტინგის 22 წლის ცენტრალურ ნახევარმცველ პედრო გონსალვეშს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

საზოგადოება

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში ოთარ და თამაზ ჭილაძეების კაბინეტი გაიხსნა

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ოთარ ჭილაძის დაბადების დღეზე მისი და მისი ძმის თამაზ ჭილაძის სახელობის კაბინეტი გაიხსნა.



ეროვნული ბიბლიოთეკის ვახტანგ მეექვსის კორპუსში ძმები ჭილაძეების კაბინეტის გახსნა მათი დის თინა ჭილაძის დიდი თანადგომით მოხდა. საგანგებოდ ამ კაბინეტის მოწყობისთვის თინა ჭილაძემ ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა ძმების პირადი ნივთები, ავტოგრაფები, ხელნაწერები, ფოტოები და პირადი ბიბლიოთეკა. კაბინეტში ძმების მიერ გამოცემული წიგნებიც განთავსდა.

# ელისო ბოლქვაძე კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეა



პიანისტი ელისო ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტში კულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს.

ინფორმაცია საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელმა დათო ოქიტაშვილმა გაავრცელა:

– საქართველოს პარლამენტმა კულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ ელისო ბოლქვაძე აირჩია. ჩემო ელისო, გილოცავ. შენი გამოცდილება და ურთიერთობები ჩვენს ქართულ კულტურას ძალიან დიდ წარმატებებს მოუტანს.

# ოზურგეთის განახლებული თეატრის სვეტები დაჯღაბნეს

ალექსანდრე წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი საზეიმო გახსნისთვის ემზადება, თუმცა მის ნაგებობაზე ვანდალიზმი განხორციელდა და, სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის.



თეატრის ოფიციალურმა გვერდმა ვანდალიზმის ამსახველი ფოტოები ინტერნეტში გაავრცელა და იმ ბავშვების ფოტოებიც გამოაქვეყნა, რომლებმაც თეატრის სვეტები დაჯღაბნეს:

– მთელი დღეა ვაჭიანურებ ამ ფოტოების გამოქვეყნებას. დღეს ისევ გვატკინეს გული. ბავშვებო, რა დაგემართათ? ნუთუ თქვენ არ გიხარიათ ოზურგეთის სიმბოლოდ ქცეული ნაგებობის გალამაზება, მორთვა, კომფორტულად მოწყობა? ჯერ იყო და ქართული თეატრის დღეს „მოგვიხატეს" თქვენმა თანატოლებმა თეატრის ქათქათა სვეტები.

ახლა შენობის საზეიმო გახსნისათვის მზადებაა და ასე გამოხატავთ სიყვარულს? თუ კი რამ კარგია გარშემო, ის უნდა გააფუჭო? არ ვავრცელებ ამ პოსტს ზოგადად ოზურგეთელ ახალგაზრდებზე, ჩვენს მომავალზე. გვახარებს მათი წარმატება. თქვენც ხომ მათ გვერდით იზრდებით!

ოზურგეთი გამორჩეულია იმითაც, რომ აქ სახელმწიფო პროფესიული თეატრია. თეატრი სხვა კულტურაა, სხვა სულიერება. მარტო შენობას კი არა, აქაურ მსახიობებსაც უნდათ გაფრთხილება. გაუფრთხილდით და შეიყვარეთ! – ნათქვამია თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7". დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# საქართველომ რუსეთი ისევ დაამარცხა

**რუსეთი-საქართველო 6:23**

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა წელს გამართული მატჩებიდან კალინინგრადში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და რუსეთი ზედიზედ მეოცედ დაამარცხა – 23:6.

რუსეთი უსიამოვნო ტრადიციის დარღვევას საკუთარ კედლებში აპირებდა. ამის საბაბიც თითქოს ჰქონდა – თვე-ნახევრის წინ თბილისში პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა, ხოლო თამაში მცირედით (16:7) მოვიგეთ.

რუსებს წარმატების იმედს ისიც აძლევდა, რომ პორტუგალიასთან და ესპანეთთან ბორჯღალოსნების თამაშის ხარისხი სასურველისგან ძალიან შორს იყო. ამას ემატებოდა მუდმივი გადაფრენები, ასევე ტრავმირებული მორაგბეების დიდი სია, ისიც, რომ რუმინეთთან გამარჯვებულ რუსეთს (პირველ ტურში 18:13), დასასვენებლად და მოსამზადებლად ბევრად მეტი დრო ჰქონდა, თუმცა მათი გათვლები ფუჭი აღმოჩნდა.

„ბორჯღალოსნების" სამწვრთნელო შტაბმა გუნდს დაბალანსებული რაგბი ათამაშა. წინა მატჩებისგან განსხვავებით, ძალისმიერ თამაშს ხელდახელ ბურთაობა შეუსაბამა და საქართველომ მეტოქეს 3 უპასუხო ლელო გაუტანეს სამივე ხაზის მოთამაშეებმა. ჩვენი გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ წამითაც არ დამდგარა.

საქართველოს შეცდომები ამ თამაშშიც ჰქონდა, მაგრამ ხარისხი იყო წინა შეხვედრებზე ბევრად უკეთესი. თამაშში ბურთი საქართველომ შეიყვანა, მეტოქე თავიდანვე წნეხში მოაქცია, მის 22-ში დერეფნის უფლება მოიპოვა, ფორვარდების დარტყმის შემდეგ გელა აფრასიძემ იერიში მარჯვენა ფრთაზე დააბრუნა, სადაც აკა ტაბუცაძისა და გიორგი ჭყოიძის ოფლოუდების შემდეგ მიხეილ გაჩეჩილაძემ ლელო გაიტანა, თუმცა საქმეში ვიდეო-რეფერი ჩაერია და ლელო უნებლიე თამაშგარესთვის გააუქმა. სამაგიეროდ, დაგვიბრუნდა ჯარიმის უპირატესობა და თედო აბჟანდაძემ ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა.

ამის შემდეგ გუნდებს შორეული ჯარიმები გაუცუდდათ. შეხვედრა საქართველოს დომინირებით გაგრძელდა, ფაზურ შეტევას კიდევ ერთი ჯარიმა მოჰყვა და თედომ 21-ე წუთზე მეორე ზუსტი დარტყმა შეასრულა. ნახევარი საათის თავზე ბორჯღალოსნებმა მოედნის ცენტრში მოლი დააყენეს და დაახლოებით 25-30 მეტრი მოიგეს, მერე ბურთი ფრთაზე ბოლომდე ჩათამაშდა, დავით ნინიაშვილმა მცველი აიყვანა და ალამთან ტაბუცაძე დაგეზა, რომელმაც კარგი შეტევა ლელოთი დაასრულა. გარდასახვა მიზანს ასცდა.

გარკვეული პერიოდით რუსეთმა შეძლო სათამაშო უპირატესობის მოპოვება და „ბორჯღალოსნებს" დაცვაში დიდი გარჯა მოუწიათ. ერთხელ ლელოს ხაზიც გადაიკვეთა, მაგრამ მცველებმა მომხდურს დამიწების საშუალება არ მისცეს, მერე 18 წლის ნინიაშვილმა, რომელიც უდავოდ ერთ-ერთი გამორჩეული იყო, დომინანტური ბოჭვა შეასრულა, მორიგი მიძალება გიორგი კვესელაძემ და სანდრო თოდუამ ერთობლივად შეაჩერეს და რუსეთმა ჯარიმით მხოლოდ 3 ქულის აღება მოახერხა.



პასუხმა არ დააყოვნა. ტაიმის მიწურულს აბჟანდაძემ ხაზი გაჭრა, ბოლო მცველი ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა და ლამაზი ინდივიდუალური ლელო გაიტანა. გარდასახვა კვლავ არაზუსტი იყო და ტაიმი 16:3 დასრულდა.

მე-2 ტაიმის პირველ 20 წუთში მასპინძლებმა გაიბრძოლეს, თუმცა ისეთ დაცვას წააწყდნენ, მხოლოდ ჯარიმიდან აღებულ 3 ქულას დასჯერდნენ.

მე-60 წუთზე ფორვარდებმა მცველები ჩაითრიეს და ფრთაზე სივრცეები გაჩნდა, აფრასიძემ მყისიერად შეუტია და შეტევაში აბჟანდაძე ჩართო, რომელმაც, თავის მხრივ, ბოლო მცველი აიყვანა და ნინიაშვილმა პირველი სანაკრებო ლელო გაიტანა. თავად თედომ ამჯერად ზუსტად გარდასახა – 23:6.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცა საქართველო თავდაჯერებულად თამაშობდა და მინიმუმ ერთი ლელოს გატანის შანსი კიდევ იყო. მალე საფინალო სასტვენი გაისმა და ჩვენი ეროვნული გუნდი 3-კვირიანი ევროპული ტურნედან შინ ქულათა თითქმის მაქსიმუმით ბრუნდება!

„ბორჯღალოსნები" რაგბი ევროპის ჩემპიონატის მომდევნო მატჩში, 28 მარტს, რუმინეთს „მიხეილ მესხზე" უმასპინძლებენ. შეხვედრა 15 საათზე დაიწყება.

ნამატჩევს გუნდის კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ „ბორჯღალოსნების" სახელით მიუსამძიმრა აშშ-ში გარდაცვლილი ყოფილი მორაგბის, გიორგი ლომთაძის ოჯახს და აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა მას ეძღვნებოდა:

**მერაბ შარიქაძე:**

– ჩვენ რამდენიმე დღის წინ აშშ-ში ძმა დავკარგეთ – გიორგი ლომთაძე, „ჩორნა" და ეს თამაში მას ეძღვნებოდა. ის ყველასთვის ძალიან საყვარელი ადამიანი იყო. იმედია, სადაც არის, ჩვენი ესმის და მინდა იცოდეს, რომ ძალიან მაგრად გვიყვარს, ყოველთვის გვემახსოვრება და მთელი ნაკრები მის ოჯახს ცხარე გულით უსამძიმრებს...

რაც შეეხება თამაშს, ვფიქრობ, კარგი შეხვედრა ჩავატარეთ და კარგი ლელოებიც გავიტანეთ. თავისთავად, იყო შეცდომებიც, რასაც ვერ გავექცევით, თუმცა ვთვლი, რომ მატჩიდან მატჩამდე ვვითარდებით. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ასპექტები ჯერ კიდევ გამოსასწორებელი გვაქვს, სანახაობრივი ლელოები გავიტანეთ და შემდეგ თამაშზე კიდევ უფრო თავდაჯერებული ვიქნებით.

**შედეგით, თამაშითა და დებიუტანტებით კმაყოფილი დარჩა მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი:**

– დაგეგმილი 5 ქულა ავიღეთ. ესპანეთის შემდეგ რთული კვირა გვქონდა, რადგან, ფაქტობრივად, სულ მგზავრობაში ვიყავით და, ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან კარგი თამაში აჩვენეს. როგორც მატჩის წინ აღვნიშნე, მარტო მოგებაზე არ ვართ ორიენტირებული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ახალი მოთამაშეებისთვის შანსის მიცემა. ბაბუნაშვილს ძალიან კარგი დებიუტი ჰქონდა. მან ბევრი იშრომა ამ შანსისთვის და ეს სრულებით დაიმსახურა. რუსეთმა კარგად დაიწყო, მწვრთნელებს აშკარად ბევრი აქვთ ნამუშევარი და დარწმუნებული ვარ, შემდეგ თამაშებში რუსეთი ბევრად უკეთესი იქნება. ექვსი კვირის წინ თბილისში ჩატარებული მატჩი ჩვენთვის პირველი იყო შემადგენლობისა და შეკრების კუთხით. ახლა უკეთ მოვემზადეთ და შედეგიც სახეზეა.

## კალეიდოსკოპი

### ავტომობილმა ავტონაწილების ქურდი იმსხვერპლა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ანაჰაიმში მამაკაცი ავტონაწილების მოპარვის მცდელობისას დაიღუპა.

სავარაუდოდ, მამაკაცმა ავტომობილი დომკრატით ასწია და კატალიზატორის კონვერტორის მოხსნა ცადა. ამ დროს დომკრატი დაეშვა და ავტომობილმა ქურდი გასრისა. მამაკაცი ადგილზევე დაიღუპა.

ადგილობრივი პოლიციის ცნობით, ავტომობილი ერთ-ერთ ადგილობრივ ორგანიზაციას ეკუთვნოდა. სწორედ კომპანიის თანამშრომელმა აღმოაჩინა ავტონაწილების ქურდის ცხედარი, რომელიც მანქანის ქვეშ იყო მოყოლილი.

რამდენ ხანს დარჩა მამაკაცის ცხედარი მანქანის ქვეშ, უცნობია, ისევე, როგორც დაუდგენელია მისი ვინაობა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## შედეგები

### 20 მარტი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ნიუკასლი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 30 | 22 | 5 | 3 | 64-21 | 71 |
| 2.მანჩესტერი | 29 | 16 | 9 | 4 | 56-32 | 57 |
| 3.ლესტერი | 29 | 17 | 5 | 7 | 53-32 | 56 |
| 4.ჩელსი | 29 | 14 | 9 | 6 | 44-25 | 51 |
| 5.ვესტ ჰემი | 28 | 14 | 6 | 8 | 42-32 | 48 |
| 6.ლივერპული | 29 | 13 | 7 | 9 | 48-36 | 46 |
| 7.ევერტონი | 28 | 14 | 4 | 10 | 40-37 | 46 |
| 8.ტოტენჰემი | 28 | 13 | 6 | 9 | 47-30 | 45 |
| 9.ასტონ ვილა | 27 | 12 | 5 | 10 | 39-28 | 41 |
| 10.არსენალი | 28 | 12 | 5 | 11 | 35-28 | 41 |
| 11.ლიდსი | 29 | 12 | 3 | 14 | 45-47 | 39 |
| 12.კრ.პალასი | 29 | 10 | 7 | 12 | 31-47 | 37 |
| 13.ვულვზი | 29 | 9 | 8 | 12 | 28-38 | 35 |
| 14.საუთჰემპტონი | 29 | 9 | 6 | 14 | 36-51 | 33 |
| 15.ბარნლი | 29 | 8 | 9 | 12 | 22-37 | 33 |
| 16.ბრაიტონი | 29 | 7 | 11 | 11 | 32-36 | 32 |
| 17.ნიუკასლი | 29 | 7 | 7 | 15 | 28-48 | 28 |
| 18.ფულემი | 30 | 5 | 11 | 14 | 23-38 | 26 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 3 | 9 | 17 | 20-57 | 18 |
| 20.შეფილდი | 29 | 4 | 2 | 23 | 16-50 | 14 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრენტფორდი-ნოტინგემი ... 1:1
ბარნსლი-უენსდი ... 1:2
ბრისტოლი-როტერჰემი ... 0:2
ქოვენთრი-უიკომბი ... 0:0
მილუოლი-მიდლსბრო ... 1:0
ნორვიჩი-ბლექბერნი ... 1:1
პრესტონი-ლუთონი ... 0:1
რედინგი-ქპრ ... 1:1
სტოკი-დერბი ... 1:0
უოტფორდი-ბირმინგემი ... 3:0
სუონსი-კარდიფი ... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-უნიონი ... 5:2
ბაიერნი-შტუტგარტი ... 4:0
ვერდერი-ვოლფსბურგი ... 1:2
კიოლნი-დორტმუნდი ... 2:2
შალკე-გლადბახი ... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 19 | 4 | 3 | 78-35 | 61 |
| 2.ლაიფციგი | 26 | 17 | 5 | 3 | 48-21 | 57 |
| 3.ვოლფსბურგი | 26 | 14 | 9 | 3 | 45-22 | 51 |
| 4.აინტრახტი | 26 | 12 | 11 | 3 | 53-36 | 47 |
| 5.დორტმუნდი | 26 | 13 | 4 | 9 | 54-37 | 43 |
| 6.ლევერკუზენი | 25 | 11 | 7 | 7 | 43-28 | 40 |
| 7.უნიონი | 26 | 9 | 11 | 6 | 40-33 | 38 |
| 8.შტუტგარტი | 26 | 9 | 9 | 8 | 47-41 | 36 |
| 9.გლადბახი | 26 | 9 | 9 | 8 | 44-40 | 36 |
| 10.ფრაიბურგი | 25 | 9 | 7 | 9 | 37-39 | 34 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 25 | 8 | 6 | 11 | 39-43 | 30 |
| 12.ვერდერი | 26 | 7 | 9 | 10 | 31-38 | 30 |
| 13.აუგსბურგი | 25 | 8 | 5 | 12 | 27-38 | 29 |
| 14.კიოლნი | 26 | 5 | 8 | 13 | 25-46 | 23 |
| 15.არმინია | 26 | 6 | 4 | 16 | 20-45 | 22 |
| 16.ჰერტა | 25 | 5 | 6 | 14 | 28-45 | 21 |
| 17.მაინცი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-44 | 21 |
| 18.შალკე | 26 | 1 | 7 | 18 | 16-69 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-დარმშტადი ... 1:1
ჰამბურგი-ჰაიდენჰაიმი ... 2:0
აუე-ზანდჰაუზენი ... 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-ეიბარი ... 1:1
სელტა-რეალი ... 1:3
უესკა-ოსასუნა ... 0:0
ვალიადოლიდი-სევილია ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 27 | 19 | 6 | 2 | 50-18 | 63 |
| 2.რეალი | 28 | 18 | 6 | 4 | 49-23 | 60 |
| 2.ბარსელონა | 27 | 18 | 5 | 4 | 61-23 | 59 |
| 4.სევილია | 28 | 17 | 4 | 7 | 39-21 | 55 |
| 5.სოსიედადი | 27 | 12 | 9 | 6 | 43-22 | 45 |
| 6.ბეტისი | 28 | 14 | 3 | 11 | 38-41 | 45 |
| 7.ვილიარეალი | 27 | 9 | 13 | 5 | 37-30 | 40 |
| 8.გრანადა | 27 | 10 | 6 | 11 | 33-44 | 36 |
| 9.ბილბაო | 28 | 9 | 8 | 11 | 38-32 | 35 |
| 10.ლევანტე | 27 | 8 | 11 | 8 | 36-35 | 35 |
| 11.სელტა | 28 | 8 | 10 | 10 | 35-43 | 34 |
| 12.ვალენსია | 27 | 7 | 9 | 11 | 32-37 | 30 |
| 13.ოსასუნა | 28 | 7 | 9 | 12 | 23-35 | 30 |
| 14.კადისი | 27 | 7 | 8 | 12 | 23-42 | 29 |
| 15.ხეტაფე | 27 | 7 | 7 | 13 | 21-32 | 28 |
| 16.ვალიადოლიდი | 28 | 5 | 12 | 11 | 26-38 | 27 |
| 17.ელჩე | 27 | 5 | 9 | 13 | 24-41 | 24 |
| 18.ეიბარი | 28 | 4 | 11 | 13 | 22-33 | 23 |
| 19.ალავესი | 27 | 5 | 8 | 14 | 23-43 | 23 |
| 20.უესკა | 28 | 3 | 12 | 13 | 26-44 | 21 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

საბადელი-ხიხონი ... 1:1
მალიორკა-ოვიედო ... 0:0
ლეგანესი-ფუენლაბრადა ... 0:2
ესპანიოლი-ლოგრონიესი ... 4:0

**იტალია. სერია ა**

კროტონე-ბოლონია ... 2:3
სპეცია-კალიარი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 27 | 20 | 5 | 2 | 65-26 | 65 |
| 2.მილანი | 27 | 17 | 5 | 5 | 50-31 | 56 |
| 3.იუვენტუსი | 26 | 16 | 7 | 3 | 54-22 | 55 |
| 4.ატალანტა | 27 | 15 | 7 | 5 | 63-34 | 52 |
| 5.ნაპოლი | 26 | 16 | 2 | 8 | 56-29 | 50 |
| 6.რომა | 27 | 15 | 5 | 7 | 51-40 | 50 |
| 7.ლაციო | 26 | 14 | 4 | 8 | 42-37 | 46 |
| 8.სასუოლო | 27 | 10 | 9 | 8 | 45-44 | 39 |
| 9.ვერონა | 27 | 10 | 8 | 9 | 36-32 | 38 |
| 10.ბოლონია | 28 | 9 | 7 | 12 | 39-44 | 34 |
| 11.უდინეზე | 27 | 8 | 9 | 10 | 30-35 | 33 |
| 12.სამპდორია | 27 | 9 | 5 | 13 | 37-42 | 32 |
| 13.ჯენოა | 28 | 7 | 10 | 11 | 30-40 | 31 |
| 14.ფიორენტინა | 27 | 7 | 8 | 12 | 33-42 | 29 |
| 15.სპეცია | 28 | 7 | 8 | 13 | 36-51 | 29 |
| 16.ბენევენტო | 27 | 6 | 8 | 13 | 27-52 | 26 |
| 17.ტორინო | 26 | 4 | 11 | 11 | 39-49 | 23 |
| 18.კალიარი | 28 | 5 | 7 | 16 | 31-48 | 22 |
| 19.პარმა | 28 | 3 | 10 | 15 | 26-54 | 19 |
| 20.კროტონე | 28 | 4 | 3 | 21 | 32-70 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ვიჩენცა-პესკარა ... 1:0
რეჯანა-კოზენცა ... 1:1
ფროზინონე-ლეჩე ... 0:3
ემპოლი-ვირტუსი ... 1:0
მონცა-ვენეცია ... 1:4
სპალი-ჩიტადელა ... 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

მეცი-რენი ... 1:3
ნიცა-მარსელი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 29 | 18 | 9 | 2 | 49-17 | 63 |
| 2.პსჟ | 29 | 19 | 3 | 7 | 63-19 | 60 |
| 3.ლიონი | 29 | 17 | 9 | 3 | 57-26 | 60 |
| 4.მონაკო | 30 | 18 | 5 | 7 | 60-38 | 59 |
| 5.ლანსი | 29 | 12 | 9 | 8 | 44-41 | 45 |
| 6.მარსელი | 30 | 12 | 9 | 9 | 38-36 | 45 |
| 7.რენი | 30 | 12 | 8 | 10 | 37-33 | 44 |
| 8.მეცი | 30 | 11 | 9 | 10 | 36-32 | 42 |
| 9.მონპელიე | 29 | 11 | 8 | 10 | 45-48 | 41 |
| 10.ნიცა | 30 | 11 | 6 | 13 | 39-41 | 39 |
| 11.ანჟე | 29 | 11 | 6 | 12 | 33-43 | 39 |
| 11.ბორდო | 29 | 10 | 6 | 13 | 31-35 | 36 |
| 13.რეიმსი | 29 | 8 | 11 | 10 | 35-36 | 35 |
| 14.ბრესტი | 29 | 10 | 4 | 15 | 43-53 | 34 |
| 15.სტრასბური | 29 | 9 | 6 | 14 | 36-42 | 33 |
| 16.სტ.ეტიენი | 30 | 8 | 9 | 13 | 30-46 | 33 |
| 17.ლორიანი | 29 | 7 | 7 | 15 | 35-53 | 28 |
| 18.ნანტი | 29 | 5 | 12 | 12 | 30-45 | 27 |
| 19.ნიმი | 29 | 7 | 5 | 17 | 28-55 | 26 |
| 20.დიჟონი | 29 | 2 | 9 | 19 | 20-50 | 15 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ამიენი-ტრუა ... 3:1
ვალანსიენი-ოსერი ... 2:2
ლე ავრი-სოშო ... 0:2
გენგამი-როდეზი ... 1:1
ნანსი-კლერმონი ... 1:0
ნიორი-ტულუზა ... 1:0
პო-დიუნკერკი ... 3:1
პარიზი-გრენობლი ... 2:0
შატორუ-კაენი ... 2:2

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

სიტარდი-უტრეხტი ... 0:1
ფეიენოორდი-ემენი ... 1:1
ვალვაიკი-გრონინგენი ... 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-მორეირენშე ... 3:0
სანტა კლარა-ტონდელა ... 1:1
პორტიმონენშე-პორტუ ... 1:2
სპორტინგი-გიმარაეში ... 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-ზალცბურგი ... 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-სტ.მირენი ... 1:1
დ.იუნაიტედი-აბერდინი ... 1:0
კილმარნოკი-მოზერველი ... 4:1
ლივინგსტონი-ჰიბერნიენი ... 1:1
სტ.ჯონსონი-როსი ... 1:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

მუსკრონი-ოსტენდე ... 0:1
ეუპენი-კორტრაიკი ... 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ქაშიმფაშა ... 2:1
გიოზთეფე-სივასი ... 3:5
მალათია-გაზიანთეპი ... 2:2
ტრაბზონი-ანკარაგიუჯიუ ... 4:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აპოლონი-ლარისა ... 0:2
ვოლოსი-ოფი ... 0:0
პანეთოლიკოსი-ლამია ... 0:3
იანინა-ატრომიტოსი ... 1:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პრჟიბრჟამი-ბრნო ... 1:1
კარვინა-სიგმა ... 0:1
იაბლონეცი-ლიბერეცი ... 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-სტ.გალენი ... 4:3
ლუგანო-ბაზელი ... 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სლასკი-პლოცკი ... 0:0
ჩენსტოხოვა-გურნიკი ... 0:0
ლეხი-იაგელონია ... 2:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-მინაი ... 0:0
დესნა-დნიპრო ... 0:2
ვორსკლა-ოლიმპიკი ... 3:0

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რაიმეს მიმდინარეობის, განხორციელების სიჩქარე; 2. ლაზური ორსართულიანი ხის სახლი; 3. სწრაფმავალი მოტორიანი ნავი; 4. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 5. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 6. ძვირფასი სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მინერალი; 9. საქართველოს პრეზიდენტი; 10. საერთაშორისო ბაზარზე გატანილი პირველი ქართული სამარკო ღვინო; 11. იტალიური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ქართული საინვესტიციო-საქველმოქმედო ორგანიზაცია; 16. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. ქართული მითოლოგიის გმირი; 20. ნიჟარაში ბინადარი უხერხემლო, რბილსხეულიანი ზღვის ცხოველი; 23. თეატრის მსახიობთა კოლექტივი; 24. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 25. გამარტივებული ნახაზი; 26. ბერძნული ყველი.

**თარაზულად:** 7. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 8. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 12. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. მარცვლეულის, ფქვილის ვაჭარი ძველად; 17. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 21. ღვინის თიხის სასმისი; 22. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 27. დანიელი მეზღაპრე; 28. დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმირების შემსწავლელი მეცნიერება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაიათი; 2. სეზარი; 3. განდი; 5. ლიდა; 6. ჩიტაია; 8. აზალია; 11. ფიუზელაჟი; 13. თურინჯი; 14. კოკაინი; 15. ლიკეუმი; 19. სუმი.

**თარაზულად:** 1. ბუნდესტაგი; 4. აპალაჩი; 7. იროკეზი; 9. დროზოფილა; 10. სფერო; 12. ჰოლივუდი; 16. კარლსონი; 17. არტერია; 18. ბანდერასი; 20. ჟენშენი; 21. ზილი; 22. გორდონისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პეტრა; 2. ასაჰი; 3. პორტერი; 4. ლალი; 5. ლადა; 6. სკიპტრა; 9. ცხენისწყალი; 10. დრომადერი; 11. პორტოფინო; 14. კამიუ; 16. შპიგი; 18. ფეიქარი; 20. აღდგომა; 23. ევრო; 24. ოდიში; 25. ოტავა; 26. წოტი.

**თარაზულად:** 7. კონსტანტა; 8. ნახალოვკა; 12. ტიგრი; 13. ბოლერო; 15. ნანდუ; 17. მაცესტა; 19. ჟაგუა; 21. ვისლა; 22. ანოდი; 27. პროპორცია; 28. პანტომიმა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3326

ევრო — 3.9645

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6440

100 რუსული რუბლი — 4.5170

## ამინდის პროგნოზი 22 მარტისათვის






## ბარსელონამ, შესაძლოა, კოუტინიო გაყიდოს

ესპანურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზაფხულში ბარსელონამ, შესაძლოა, ფელიპე კოუტინიო გაყიდოს, რადგან ბრაზილიელი რონალდ კუმანის გეგმებში არ შედის. კოუტინიოს ამჟამად ტრავმა აქვს და მის ადგილას ახალგაზრდა პედრი თამაშობს, რომელიც კუმანის ერთ-ერთი ფავორიტია და ჰოლანდიელს მისი დიდი იმედი აქვს. ჯერჯერობით ეს ინფორმაცია თვითონ ბარსელონას არ დაუდასტურებია, თუმცა, შესაძლოა, ეს თვითონ ბრაზილიელმა ფეხბურთელმა გააკეთოს.

## დეპაის დამატება პსჟ-საც სურს



ლიონის ჰოლანდიელი ვინგერის მემფის დეპაის დამატება პსჟ-საც სურს და პარიზელები მზად არიან, მასში გარკვეული თანხაც გადაიხადონ, თუმცა, დიდი ალბათობით, ეს საჭირო არ იქნება, რადგან ზაფხულში დეპაი თავისუფალი აგენტი გახდება და ის ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს.

დეპაის კარიერის გაგრძელება ბარსელონაში სურს და, დიდი ალბათობით, სწორედ ასეც მოხდება.

## პარიზში მბაპეს წელიწადში 25 მილიონს სთავაზობენ



პსჟ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კილიან მბაპე შეინარჩუნოს და პარიზელები მზად არიან, მას ისედაც მაღალი ანაზღაურება კიდევ უფრო გაუზარდონ და წელიწადში 25 მილიონი გადაუხადონ.

მბაპე ჯერჯერობით ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს და, შესაძლოა, მას სხვა გუნდში გადასვლაც ჰქონდეს დაგეგმილი. ეს გუნდი, დიდი ალბათობით, მადრიდის რეალია.

თუ მბაპემ წასვლა გადაწყვიტა, პსჟ-ს მისი გაჩერება გაუჭირდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ქალაქის რადიო აცხადებს:

— პატივცემულო თანამოქალაქენო! ქალაქის ზოოპარკიდან გაიქცა ენოტი. ყველამ, ვინც ეს ცხოველი ნახა, ზოოპარკის სალაროში სასწრაფოდ უნდა გადაიხადოს 10 ლარი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— თურმე მონღოლეთში ასეთი ტრადიცია აქვთ: როდესაც ოჯახში ბიჭი იბადება, მამა ხეს რგავს, მაგრამ, თუ ბავშვი სულელი გამოვა, ხეს ჭრიან...

— ნამყოფი ვარ მონღოლეთში, ერთ ხეს ვერ ნახავ, რომ მის ჩრდილს შეაფარო თავი.

●●●

ვატსონი შერლოკ ჰოლმსს ეკითხება:

— რატომ არ მოგყავთ ცოლი, ჰოლმს?

— იმიტომ, რომ უამრავ პრობლემას ქმნის. ვატსონ, აბა, წარმოიდგინეთ, დამღლელი დღის შემდეგ ზიხართ სავარძელში, კითხულობთ გაზეთს და უცბად შემოსასვლელი კარიდან ისმის ცოლის ხმა, ხოლო ამავე დროს უკანა კარიდან ისმის თქვენი ძაღლის ყეფის ხმა. პირველს რომელს შემოუშვებთ სახლში?

— ალბათ, იმას, რომელიც უფრო ხმამაღლა ყვირის...

— უნდა შემოუშვათ ძაღლი, ვატსონ, ვინაიდან ის ყეფას მაშინვე შეწყვეტს, როგორც კი სახლში შემოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლელა წურწუმიამ ახალი კლიპი გადაიღო



მომღერალმა ლელა წურწუმიამ ახალი კლიპი გადაიღო. გადაღებები განახლებულ სამხატვრო აკადემიაში მიმდინარეობდა.

ლელამ ვიდეორგოლი ზურაბ მანაგაძის სიმღერა „გიორგობის თვეზე“ გადაიღო, რომლის არანჟირებაც ნონსტოპ ბენდს ეკუთვნის. კლიპის რეჟისორი ნესტან სინჯიკაშვილია.

ინფორმაცია მომღერლის მეუღლემ და პროდიუსერმა მამულიჩამ გაავრცელა:

— დიდი მადლობა სამხატვრო აკადემიასა და განსაკუთრებით ბატონ გია გუგუშვილს, რომ მოგვცა უფლება, ამ ულამაზეს შენობაში გადაგვეღო ლელას კლიპი. უზარმაზარი მადლობა ნესტან სინჯიკაშვილსა და ბუდას, სტილისტ გიორგი ელიაძეს ამ საჩუქრისთვის. სიმღერისა და კლიპის პრემიერა გაიმართება 6 მაისს გადაცემაში „მხოლოდ ლელასთან“.

## თეა წულუკიანი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად დაინიშნა



თეა წულუკიანი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად დაინიშნა, მანამდე კი საქართველოს განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ცალკე ერთეულად გამოეყო.

მინისტრად დანიშვნამდე თეა წულუკიანი სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების თეატრების, მუზეუმების, ანსამბლების ხელმძღვანელებს სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვდა.

თეა წულუკიანის ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ინტერნეტში გავრცელდა პეტიცია, სადაც მოქალაქეები წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნას ეწინააღმდეგებოდნენ.

საბოლოოდ კულტურის სფეროს წარმომადგენელთა აზრი მაინც ორად არის გაყოფილი — ნაწილი თეა წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნას მიესალმება, ნაწილი კი მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის კატეგორიული წინააღმდეგია.

## მიხეილ ზაქარიაშვილმა ზურა დოიჯაშვილის უცნობი სიმღერა აღმოაჩინა



მომღერალმა და კომპოზიტორმა მიხეილ ზაქარიაშვილმა თავის არქივში კოლეგის ზურა დოიჯაშვილის აქამდე სრულიად უცნობი სიმღერა აღმოაჩინა და ინტერნეტში გაავრცელა. როგორც მოსალოდნელი იყო, მომღერლის უცნობი სიმღერა საზოგადოებამ ძალიან მოიწონა, გააზიარა და ბევრი დადებითი კომენტარიც არ დაიშურა:

— არა მგონია, ზურიკოს ეს სიმღერა მოსმენილი გქონდეთ! ეს მარტო მე მქონდა და დავდე, ჩემს არქივში აღმოვაჩინე.

## ანსამბლ „ერისიონის“ 135 წლის იუბილე საკრებულოში აღინიშნა




ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონის“ 135 წლის იუბილე თბილისის საკრებულოში აღინიშნა.

— ანსამბლს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ფოლკლორის ისტორიაში. დიდია მისი როლი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მის წარმოჩენასა და პოპულარიზაციაში. ჩვენ ვამაყობთ, რომ გვყავს შემოქმედებითად ასეთი მდიდარი აკადემიური დასი. „ერისიონის“ ხელმძღვანელობას, ანსამბლის თითოეულ წევრს მინდა მივულოცო 135 წლის იუბილე და მადლობა გადავუხადო უნიკალური ქართული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის. გვინდა, მომავალშიც ასეთივე წარმატებითა და ტრადიციული შემართებით გაეგრძელებინოს ანსამბლს შემოქმედებითი მოღვაწეობა, — განაცხადეს ღონისძიების ორგანიზატორებმა.

## აღმზრდელმა ხუთი წლის გოგონას საკუთარი თირკმელი გადაუნერგა



ამერიკის მისურის შტატში აღმზრდელმა საკუთარი თირკმელი თავის ხუთი წლის აღსაზრდელს გადაუნერგა.

2019 წლიდან რობინ მაჰი კეილის აღზრდით არის დაკავებული, რომელიც ამჟამად ხუთი წლისაა. მიმდინარე წლის თებერვალში მან გოგონას საკუთარი თირკმელი შესწირა.

გოგონას დედის დეზირე კიულეჯის თქმით, მისი გოგონა ფეხმძიმობის 26-ე კვირას დაიბადა (ჩვეულებრივ, ნორმალური ფეხმძიმობა 38 კვირას გრძელდება) და დაახლოებით 160 დღე ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გაატარა. გოგონას აწუხებს ნაწილობრივი სიბრმავე, დაქვეითებული აქვს იმუნური სისტემა, შიგადაშიგ ღვიძლი ეთიშება. ამის გამო მას ყოველდღე 11-საათიანი პერიტონუალური დიალიზი ესაჭიროებოდა.

ამჟამად კეილი სულ 11 კილოგრამს იწონის. ოქტომბრამდე მისთვის თირკმლის გადანერგვა არ შეიძლებოდა, ვინაიდან ის სიმაღლისა და წონის აუცილებელ პარამეტრებს ვერ აღწევდა. როდესაც გოგონამ საჭირო წონას მიაღწია, მაჰი მიხვდა, რომ მის დახმარებას შეძლებდა.

— მინდოდა, კეილის ნორმალური ცხოვრება ჰქონოდა და სკოლაში ევლო, — ხაზგასმით აღნიშნა ქალმა თირკმლის გადანერგვის ოპერაციის წინ.

3 თებერვალს ექიმებმა თირკმლის გადანერგვის ექვსსაათიანი ოპერაცია წარმატებით განახორციელეს.

— მაჰი იქცევა ისე, თითქოს მან კეილი, უბრალოდ, სპასალონში წაიყვანა და ფრჩხილები შეაღებინა. ისეთი სახე აქვს, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. უბრალოდ, არ ვიცი, მადლობა როგორ გადავუხადო. ერთადერთი, რასაც ვახერხებ, ვამბობ, „მადლობა! — განაცხადა გოგონას დედამ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქართულ ბალეტზე გადაღებულ ფილმს ამერიკაში აჩვენებენ



ქართულ ბალეტზე გადაღებულ ფილმს ამერიკის შეერთებულ შტატებში აჩვენებენ. მინესოტის შტატის ქალაქ მინეაპოლისში ნაჩვენები იქნება ფილმი „საქართველოს სახელმწიფო ბალეტი დღეს“.

მინესოტის უნივერსიტეტმა საკუთარ ვებგვერდზე საქართველოს სახელმწიფო ბალეტის შესახებ სტატიაც გამოაქვეყნა:

— საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გამოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილი იყო გასული წლის აპრილში, რომელიც კოვიდ 19-ის პანდემიის გამო გაუქმდა. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ საქართველოს სახელმწიფო ბალეტთან თანამშრომლობით და ამ საერთაშორისოდ აღიარებულ დასს აუდიტორიას უსაფრთხო, ონლაინფორმატში წარუდგენს მაყურებელს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 22 მარტისათვის

**ვერძი** — ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **კურო** — ყველა უსიამოვნება დავიწყებას მიეცემა. ფორტუნა გიღიმით. განსაკუთრებით უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **ტყუპები** — სამსახურში კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გელით. ეცადეთ, ნებისმიერი პროვოკაცია თავიდან გონივრულად აიცილოთ. **კირჩხიბი** — დღის პირველ ნახევარში ერიდეთ საქმიან შეხვედრებს. ემოციური ფონი ძალზე მაღალია, რაც სწორი დასკვნების გამოტანაში ხელს შეგიშლით. **ლომი** — პროფესიულ საქმიანობაში შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია. საკუთარი პრინციპების დათმობა მოგიწევთ. **ქალწული** — გადაღლილი ხართ. ახლობლების შენიშვნები მშვიდად მიიღეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **სასწორი** — სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. მიენდეთ ინტუიციას. ემოციები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** — ოჯახში არასტაბილური სიტუაციაა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ერიდეთ საქმის გარჩევებს ახლობლებთან. **მშვილდოსანი** — უარი თქვით მოგზაურობასა და მივლინებებზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** — აგრესიისა და მკვეთრი გამოთქმებისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. წარმატება მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **მერწყული** — ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. სამსახურში ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას. **თევზები** — ჯანმრთელობას მიხედეთ. ორგანიზმი გაიწმინდეთ. მიირთვით ჯანსაღი საკვები. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ზედამხედველი გერმანიის უნივერსიტეტში ძველად; 2. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 3. ფრანგი მწერალი, დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე; 5. საცხენოსნო შეჯიბრება; 6. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთში; 11. მე-6 საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. ძველი ბერძენი მოქანდაკე; 14. სამთოსათხილამურო კურორტი საქართველოში; 15. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 19. ისტორიული სამთავრო სამხრეთ საქართველოში.

**თარაზულად:** 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც სამაშველო ნავებია განლაგებული; 7. ხელისუფლების დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს; 9. მუნჯი კინოს აკომპანიატორი, პიანისტი; 10. ამერიკელთა მეტსახელი; 12. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 17. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 21. ველოსპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ერთ-ერთი ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

